# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 9 ივნისი 2007 №130 (3053) ფასი 50 თეთრი


# ორი ქართული ვარსკვლავი
## კალაძე და არველაძე დღეს ფიგუსთან და ზიდანთან ითამაშებენ





დღეს საღამოს, ლისაბონში „ოლ სტარი“ გაიმართება — ლუიშ ფიგუს გუნდი ზინედინ ზიდანის გუნდის წინააღმდეგ.

ფიგუ, ზიდანი, ლუის ენრიკე, სერხი, გვარდიოლა, კაკა... ამ და სხვა ვარსკვლავებთან ერთად ლისაბონურ მინდორზე ორი ქართველი, კახა კალაძე და შოთა არველაძე გავლენ!

მატჩი, ცხადია, საქველმოქმედოა და, მაგრამ, ყველაფრის გათვალისწინებით, ალბათ ნებისმიერი ქართველისთვის სასიამოვნოა, რომ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებთან ერთად ჩვენებურებიც გააგორებენ ბურთს.

ეჭვგარეშეა: დღეს საქართველო ამაყია!



# ის, რაც იყო გუშინ, იქნება ხვალ
## ფედერერი — ნადალი: პირველად თუ მესამედ?

ის, რაც ხვალ იქნება, შარშან უკვე იყო. ერთი წლის წინ სეზონის მეორე სლემტურნირის ფინალურ მატჩში როჯერ ფედერერმა პირველი სეტი კი მოუგო რაფაელ ნადალს, მაგრამ მერე ველარას გახდა მალიორკელ ჯადობიჭთან და ზედიზედ სამი სეტი დათმო.

ხვალ მორიგი ნადალ-ფედერერი იქნება. დიადმა შვეიცარიელმა გუშინ ბევრი კი იწვალა, მაგრამ ჯიუტ და უტეხ რუს ნიკოლაი დავიდენკოს მაინც სამ სეტში მოუმთავრა საქმე — 7:5 7:6 7:6.

ესპანელმა გაცილებით იოლად გაიარა სეზონის მთავარ აღმოჩენად მიჩნეული ამბიციური სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი, რომელმაც თიხნარის მეფეს მხოლოდ პირველ პარტიაში გაუწია წინააღმდეგობა. 7:5 6:4 6:2 და ნადალი სეტწაუგებლად გავიდა ფინალში.

„როლან გაროსის“ წითელ თიხაზე ჯერაც დაუმარცხებელი ესპანელი ზედიზედ მესამე პარიზულ ტიტულს უმიზნებს და საყვარელ საფარზე, თვით ფედერერთანაც კი ფავორიტად მიიჩნევა.

მაგრამ როჯერსაც როგორ უნდა ეს ტიტული — მის უმდიდრეს კოლექციას მხოლოდ პარიზული თასი აკლია.

შარშანწინ ფედერერი ნახევარფინალში დამარცხდა ნადალთან, შარშან — ფინალში და ამ ლოგიკით, შვეიცარიელს სწორედ ახლა აქვს ისტორიული შანსი, მით უმეტეს, რომ ამ ერთი თვის წინ როჯერმა, როგორც იქნა, გატეხა ნავსი და ჰამბურგის მასტერსის ფინალში პირველად მოუგო თიხაზე ნადალს.





ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა სარგებლობა მოაქვს მამალს და კიდევ ერთხელ: რისი და ვისი გეშინიათ?!

## შიშის მომენტი

**საფრანგეთი** — საქართველოს ოსერული მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა გადაჭედილი „აბე დეშანი" წამით დადუმდა და იქვე, მთელმა სტადიონმა შეებით ამოისუნთქა. ო-ლა-ლა — თითქოს ერთს უთქვამსო, ისე მკაფიოდ გაისმა ტრიბუნებზე მყოფი 23 ათასი ფრანგი ქომაგის შეშფოთებული შეძახილი. წამით ადრე მსოფლიო დონის მცველებს, ლილიან ტურამსა და უილიამ გალასს მიუტოვებელი შეცდომა მოსვლოდათ. შეცვლაზე შესულ ოთარ მარცვალაძეს კი საგოლედ ჩინებული შანსი მიეცა. ჩვენიანმა ამ მომენტით ვერ ისარგებლა — დაიბნა და ანგარიშიც უცვლელი, მასპინძელთა სასარგებლო დარჩა.

უკვე მატჩის შემდეგ ოსერში მყოფი ქართველობა მხოლოდ მარცვალაძის ამ მომენტზე საუბრობდა — ბურთი უკეთ რომ გაესწორებინა, მაშინვე რომ დაერტყა და გაეტანაო...

კაცმა არ იცის, ქართველ თავდამსხმელს მართლაც რომ ემარჯვა და ანგარიში გაეთანაბრებინა, მერე რა მოხდებოდა, მაგრამ ეს ახლა სალაპარაკოდაც არ ღირს, მთავარი და სალაპარაკო ის არის, რაც ნამატჩევს კიდევ ითქვა, რამაც გაკვირვებული დამტოვა: კერძოდ, ჩვენ რომ გოლი გაგვეტანა, საფრანგეთი მერე იმდენს გაგვიტანდა, რამდენსაც მოისურვებდა და მთლად შევრცხვებოდითო. ეს სიტყვები საქართველოს ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელმა თქვა და მერე კიდევ საფრანგეთში მცხოვრებმა ბევრმა ქართველმა გაიმეორა. როგორი მოსასმენია?! დარწმუნებული ხართ, ის ფეხბურთელები, რომლებმაც ეს თქვეს, თამაშამდე სხვანაირად ფიქრობდნენ და მხოლოდ მატჩის მსვლელობამ ათქმევინათ, კიდევ კარგი, რომ ვერ გავიტანეთო?! რატომღაც მგონია, რომ ამ სიტყვების მთქმელი ფეხბურთელები მოედანზეც ასეთივე განწყობით გავიდნენ და ასეთივე განწყობით ჩაამთავრეს კიდეც ფრანგებთან მატჩი.

ჩვენებს ფრანგების შიში და მორიდება ჰქონდათ, მათ ნიკოლა ანელკასა თუ ფრანკ რიბერის დანახვაზე ფეხები უკანკალებდათ და თავის რწმენა ჯერ კიდევ მატჩამდე დაეკარგათ. ამას კი, ზოგადად, წაგებულის ფსიქოლოგია ჰქვია. გახსოვთ, პირველ ტაიმში იყო ეპიზოდი, როცა ზაალ ელიავამ საკუთარ საჯარიმოში ერთბაშად ორი მეტოქის მოტყუება სცადა და ჩვენებს ეს კინაღამ გოლად დაუჯდათ. ცხადია, საკუთარ საჯარიმოში ბურთის დაკარგვა უდიდესი და უპატიებელი შეცდომაა, მაგრამ არის მეორე მხარეც — ელიავას მეტოქის არ შეშინებია და იმ მომენტში ისე მოიქცა, როგორც საჭიროდ ჩათვალა. ელიავას ფრანგებთან კიდევ ბევრი შეცდომა ჰქონდა, მაგრამ სხვა მისი თანატოლი ფეხბურთელებისგან განსხვავებით, მას არ ეშინოდა და მეტოქეს ტოლ-სწორად უყურებდა. დანარჩენი კლასის საქმე იყო. ხოლო კლასიც რომ აქვთ და მეტოქის შიშიც დიდი ხნის დავიწყებული, ასეთი „აბე დეშანიზე" ორი-სამი თუ თამაშობდა, მაგალითად, ალექსანდრე იაშვილი, კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი...





„მამლები" და მამალი თამაშის წინ ოსერის ქუჩაში



ÉQUIPE DE FRANCE

Championnat d'Europe de l'UEFA

Mercredi 6 juin 2007 - 21 h 00 - Stade Abbé Deschamps - Auxerre

| FRANCE | GEORGIE |
|---|---|
| 1 LANDREAU Mickaël | 1 LOMAIA Giorgi |
| 3 ABIDAL Eric | 3 KHIZANEISHVILI Otar |
| 5 GALLAS William | 4 KALADZE Kakha (cap.) |
| 6 MAKELELE Claude | 6 KVIRKVELIA Dato |
| 7 MALOUDA Florent | 9 IASHVILI Alexander |
| 8 TOULALAN Jérémy | 13 KHIZANISHVILI Zurab |
| 13 CLERC François | 17 GHVINIANDZE Mate |
| 15 THURAM Lilian (cap.) | 22 KANKAVA Jaba |
| 11 NASRI Samir | 23 SALUKVADZE Lasha |
| 22 RIBERY Franck | 25 ELIAVA Zaal |
| 39 ANELKA Nicolas | 41 BURDULI Vladimer |
| Remplaçants - Substitutes | Remplaçants - Substitutes |
| 4 DIARRA Lassana | 34 CHANTURIA Grigol |
| 9 CISSE Djibril | 20 MUJIRI David |
| 10 GOVOU Sidney | 21 MARTSVALADZE Otar |
| 12 SAGNA Bakary | 37 SHASHIASHVILI Giorgi |
| 16 FREY Sébastien | 48 ONIANI George |
| 21 ESCUDE Julien | |
| 20 BENZEMA Karim | |
| Entraîneur - Coach: DOMENECH Raymond | Entraîneur - Coach: TOPPMOLLER Klaus |

Arbitre : Lucilio Cardoso Cortez Batista (POR)
Arbitres-assistants : José Manuel Silva Cardinal (POR) et Joao Ferreira Dos Santos (POR)
4ème arbitre : Joao Francisco Lopez Ferreira (POR)

ÉQUIPE DE FRANCE

Fédération Française de Football, 87, boulevard de Grenelle - 75738 Paris, Tél.: 01 44 31 73 00 - Fax : 01 44 31 73

**ფრანგებმა საქართველოს ნაკრების „გასაჭირზე" არაფერი იცოდნენ**

მატჩის შემდეგ კახა კალაძემ ასეთი კომენტარი გააკეთა — ახლა ჩვენს ნაკრებს არც მწვრთნელის პრობლემა აქვს, არც პირობების, არც სხვა არაფრის, საჭირო რაოდენობის მაღალი კლასის ფეხბურთელი არ გვყავსო.

ჩემი აზრით კი, ნაკრებს ერთი დიდი, ფსიქოლოგიური პრობლემაც აქვს და, ვფიქრობ, პირველ ყოვლისა, სწორედ ესაა გამოსასწორებელი. როცა გეშინია, საქმეს ვერ გააკეთებ, ხოლო როცა მოედანზე ტურამი და, მაგალითად, ლიტველი შკერლა შენთვის ერთი იქნება, მაშინ წარმატებაც ისე ახლოს მოვა, როგორც, მაგალითად, ლიტვაში.

## კოლეგები

საფრანგეთ — საქართველოს ერთ-ერთი ფრანგული ტელეარხის გარდა პირდაპირ ეთერში იტალიელები და ბრიტანელებიც უჩვენებდნენ. „აბე დეშანიდან" რამდენიმე რადიო-რეპორტაჟიც გადაიცემოდა. პრეს-ლოჟაში წარმოუდგენელი ხმაური იყო. თავად „ეკიპისა" და რადიო „RTL-PARIS"-ის ჟურნალისტებს შუა ვიჯექი და, ცხადია, შესვენებაზე მათთან გამოლაპარაკების საშუალება მომეცა. როგორც ბევრ უცხოელს, ეკიპელ სებასტიან ტარაგოსსაც უჭირდა ქართული გვარების გამოთქმა და, როცა გაიგო, რომ ქართველი ვიყავი, დახმარება მთხოვა. სებასტიანის გარდა „ეპიპიდან" კიდევ სამი ჟურნალისტი იყო, საქმე განაწილებული ჰქონდათ. ტარაგოსს, მაგალითად, ფეხბურთელები უნდა შეეფასებინა და მეტოქეთა თამაშის ტაქტიკური სქემა გაეანალიზებინა. საქართველო სულ ასეთი განლაგებით თამაშობსო? მკითხა. კლაუს ტოპმიოლერისგან 4-1-4-1 განლაგება მართლაც უჩვეულო იყო და, ცხადია, ვუპასუხე, ეს იძულებითი ვარიანტია-მეთქი. ასეთ დაცვით ფეხბურთს რატომ თამაშობენო, სებასტიანმა მაშინვე ეს იკითხა. განაცხადს ჩახედე-მეთქი, პასუხი არც თავად დავაყოვნე. საფრანგეთის წინააღმდეგ საქართველოს ნაკრების სამატჩო განაცხადში სულ 16 ფეხბურთელი იყო, მაგრამ ტოპმიოლერის პრობლემებზე მას წარმოდგენაც არ ჰქონდა და განაცხადის წაკითხვის შემდეგაც ვერაფერი გაიგო. შემდეგ უკვე ეკიპელ კოლეგას იქით ვკითხე, საქართველოს თამაშზე რა აზრის ხარ-მეთქი.

შეგახსენებთ, ეს დიალოგი შესვენებაზე გვქონდა და, ცხადია, სებასტიან ტარაგოსს ჩვენების თამაშზე კარგი არაფერი უთქვამს, ეს კი ორჯერ გაიმეორა — თქვენები ჩვენებს რატომ არ უტევენო. არ კი არა, ვერ უტევენ-მეთქი და ამასობაში საუბარში „RTL-PARIS"-ის ჟურნალისტი კრისტოფ პაუსადიც ჩაერთო. ის ქართულ ფეხბურთში სებასტიანზე უკეთ გარკვეული აღმოჩნდა, მითხრა, რომ ალენ ჟირესთან კარგი ურთიერთობა აქვს და ჩვენების შესახებ მასთან ბევრჯერ ულაპარაკია...

— ჟირესი საქართველოდან დამწუხრებული ჩამოვიდა, ის თქვენთან თავს კარგად გრძნობდა და ყოველთვის იმეორებდა, რომ საქართველოს ძალიან მაღალი დონის ფეხბურთის თამაში შეუძლია, იქ ბევრი პერსპექტიული, ნიჭიერი ფეხბურთელია, მათთან სიამოვნებით ვმუშაობდიო. მას გული წყდება, რომ საქართველოში მუშაობა არ დასცალდა, არადა, გრძნობდა, რომ კარგ შედეგს მალე აჩვენებდა. თავად კი შოტლანდია — საქართველოს და საქართველო — იტალიის მატჩები ვნახე, საქართველომ ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საფრანგეთმა გლაზგოში წააგო, აი, საქართველოს კი იქ მოგება შეეძლო, თქვენებს ბევრი მომენტი ჰქონდათ — მითხრა კოლეგამ და შემდეგ ისიც აღნიშნა, დღეს საქართველოს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლია და გასაგებია, რომ მწვრთნელი გუნდს დაცვიდან ათამაშებსო.

მატჩის შემდეგ, როცა უკვე საკონფერენციო დარბაზისკენ მივემართებოდით, კიბეებზე ეკიპელმა სებასტიან ტარაგოსმა თავის ბლოკნოტი გადამიშალა, ქართველ ფეხბურთელთა ჩემებურ შეფასებებს თუ ეთანხმებიო. თან დავეთანხმე, თან — არა. კალაძეს მან ათბალიანი შეფასებით 4.5 დაუწერა, კვირკველიას და იაშვილს კი 5.5-5.5. კალაძემ და იაშვილმა დღეს მაგრად ითამაშეს, ალბათ უფრო მაღალი შეფასებას იმსახურებენ-მეთქი.

მერე გამორჩეულ ფეხბურთელებზეც მკითხა. ცხადია, 19 წლის სამირ ნასრი ვუთხარი და გამიკვირდა, როცა კოლეგამ მითხრა, ფეხბურთის თამაში ნასრიმ 11 წლისამ დაიწყოო. ნასრი თურმე ღარიბესი ოჯახიდან ყოფილა, საფრანგეთში კი ამბობენ, ახალი ზიდანი გვეზრდებაო...

მატჩის მეორე დღეს, უკვე პარიზში, „ეკიპი" ვიყიდე და ამ ჩემი კოლეგისგან ფეხბურთელთა შეფასებებიც ვნახე. ჩამოვთვალოთ: ლომაია — 6, ხიზანიშვილი — 4, ხიზანეიშვილი — 4.5, კალაძე — 5, სალუქვაძე — შეფასების გარეშე, ბურდული — 4, კანკავა — 5, კვირკველია — 5.5, ღვინიანიძე — 4.5, ელიავა — 3.5, მარცვალაძე — შეფასების გარეშე, შაშიაშვილი — შეფასების გარეშე, მუჯირი — 4.5, იაშვილი — 5.5.

ფრანგებისგან, „ეკიპის" აზრით, საუკეთესო სწორედ ნასრი იყო — 7. ზოგადად კი, ფრანგი ფეხბურთელების შეფასება 4.5-დან 7-მდეა. 4.5 სებასტიან ტარაგოსს ანელკასთვის დაუწერია, ხოლო 5 მეკარე ლანდროსთვის, რომელმაც, არ ვიცი, ამ მატჩში რა გააკეთა.

## ოსერი და დედალ-მამლები

რვა საათის შემდეგ ოსერში კაცი რომ ცუდად გახდეს, როგორ ან რით უნდა იწამლოს-მეთქი, ვიკითხე. ქართულ ყოფას მიჩვეულს, ძალიან გამიკვირდა, როცა მოსაღამოვებულზე მთელი ქალაქი მკვდარი იყო. მაღაზიები და მისთანები რომ სამუშაო დღეებში რვა საათის მერე იკეტებოდნენ, გასაგებია, მაგრამ ამ დროსთვის სასტუმროს კარიც თუ ჩაირაზებოდა, ქუჩაში ტაქსი არ იმოძრავებდა და სულიერის დანახვაც სანატრებელი იქნებოდა, ნამდვილად არ მეგონა. ევროპული ცხოვრების და პარასკევ-შაბათის ამბები ყველამ კი ვიცით, მაგრამ ოსერი...

სხვათა შორის, ამ ქალაქში საფრანგეთის ნაკრებმა მეორედ ითამაშა და მეორე მატჩი მოიგო. პირველად „აბე დეშანზე" ფრანგებმა 1995 წელს აზერბაიჯანს უმასპინძლეს და 10:0 დაამარცხეს...

საქართველოსთან მატჩის დღეს კი ქალაქი შედარებით გამოცოცხლდა და მამლიანი კაცები გამოჩნდნენ, მამალი — საფრანგეთის ნაკრების სიმბოლოა.

სამწუხაროა, რომ მათი მეტოქე ოსერში როგორღაც უხერხულად გამოიყურებოდა...

## და ბოლოს...

საფრანგეთზე ლაპარაკის მერე კი, მოდით, ლიტვასა და კაუნასს ნულარ გავიხსენებთ. თითქმის ყველაფერი იღბალს დავაბრალოთ. ოღონდ, როცა საქართველოს ნაკრებს მეტოქის რიდი აღარ ექნება და აღარც უზომო თავდაჯერება, საქართველოსაც ალბათ მაშინ გაუმართლებს...

**ქობა ინასარიძე**
**ოსერი — თბილისი**

**ფინეთი**
ვეიკაუსლიგა. VIII ტური
ლაჰტი 6:0 ვაასა

**ისლანდია**
პრემიერდივიზიონი. V ტური
ვიკინგური 1:1 ბრეიდაბლიკი

**ამხანაგური მატჩი**
ირაყი 1:1 იორდანია



# მარცვალაძე დაბნეულმა ტურამმა დააბნია...

საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ კლაუს ტოპმიოლერმა კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძე შეცვლაზე ათამაშა. ძლივს ტრავმამოშუშებულმა ოთარმა მისთვის უჩვეულო პოზიციაზე, მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა, თუმცა მოგვიანებით ცენტრფორვარდობაც იკისრა და გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ გამოცდილი ლილიან ტურამის შეცდომა ვერ გამოიყენა. მარცვალაძესთან საუბარიც სწორედ აქედან დავიწყეთ...

— ბურთი რიკოშეტის შემდეგ მომივიდა, რაც საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის და დამორჩილება ველარ მოვახერხე, არადა, წინ საკმაო სივრცე მქონდა და გოლის გატანაც შეიძლებოდა. ჩემი დაბნეულობით კი მცველებმა ისარგებლეს და სიტუაცია განმუხტეს.

— უჩვეულო პოზიციაზე ითამაშე. ეს თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, თუ შექმნილმა სიტუაციამ მოითხოვა?

— არ ვიცი, თავიდან რას ფიქრობდა მწვრთნელი, მაგრამ იმ მომენტში სხვა ვარიანტი არ იყო და მეც მარცხენა ნახევარმცველად ჩავერთე თამაშში.

— საერთოდ, მატჩზე რას იტყვი?

— ძალიან ძნელია წაგებულ შეხვედრაზე ლაპარაკი, ცხადია, შედეგით უკმაყოფილონი ვართ. თამაშს რაც შეეხება, რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ.

— ტოპმიოლერმა რა გითხრათ მატჩის შემდეგ?

— განსაკუთრებული არაფერი... შეგვაქო და დაგვამშვიდა.

— ესე იგი, მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა?

— რა ვიცი... ბიჭებმა თავი არ დავზოგეთ და...

— შენი კიევური საქმეები როგორ არის?

— სეზონის ბოლომდე „დინამოში“ ვიქნები, დანარჩენი შემდეგ გაირკვევა. ალბათ სხვა გუნდს მოვძებნი.

— ივლისით წახვალ თუ გაგყიდიან?

— ჯერ ვერაფერს გეტყვით, ყველაფერი ივლისის დასაწყისში მეცოდინება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დუშან უჰრინთან გადასარევი ურთიერთობა ნამდვილად არ მაქვს

## გრიგალაშვილს ესპანეთზე გული წყდება და უცხოეთზე ფიქრობს



შარშან შემოდგომაზე შოთა გრიგალაშვილის კარიერაში ასეთი რამ მოხდა — კლაუს ტოპმიოლერმა იგი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოიძახა, არადა, 20 წლის ნახევარმცველი თბილისის „დინამოს“ 18-კაციან განაცხადშიც კი ვერ ხვდებოდა. ზამთარში კი დუშან უჰრინმა იგი სულაც „ბორჯომში“ გაანათხოვრა. დინამოელთა ჩეხმა მწვრთნელმა მაშინ თქვა, გრიგალაშვილი თამაშს თუ მოუმატებს, აუცილებლად დავიბრუნებთო. „ბორჯომამდე“ კი შოთა „ზესტაფონის“ ფორვარდ ბექა გოცირიძესთან ერთად გერმანულ აუე-ში იყო გასინჯვაზე. მასთან საუბარი კი 5 ივნისის საქართველო — ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩით დავიწყეთ...

— ძალიან გულდასაწყვეტია, რომ დავმარცხდით. ვფიქრობ, ფრეს მაინც ვიმსახურებდით. ესპანეთს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები ჰყავს და ჩვენ მთელი სული და გული ჩავდეთ, რათა საქართველო არ შეგვერცხვინა.

— მაინც რა დაგაკლდათ წარმატებამდე?

— ესპანელები ჩვენზე გაცილებით გამოცდილები არიან და ცოტა იღბალმაც გვიმტყუნა. ბოლო წუთზე რევაზ ბარაბაძეს რომ გაეტანა...

— მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა თამაშის წინ რა გითხრათ?

— გვითხრა, რომ ჩვენ საქართველოსთვის ვთამაშობთ და თავი კარგად უნდა წარმოვაჩინოთ. ბოლომდე ბრძოლა და თავდადება მოგვთხოვა.

— საინტერესოა, თავად პეტარ სეგრტზე რას იტყვით?

— გულღია და წესიერი ადამიანია. როგორც მწვრთნელი, თავისი საქმის კარგი მცოდნე და წარმოუდგენელი ენერგიის პატრონია.

— ჩვენს ჯგუფში ესპანეთის გარდა პოლონეთი, რუსეთი და ყაზახეთი არიან. ჯგუფიდან გასვლის შანსს როგორ შეაფასებ?

— თუ ისე თავდადებით გავაგძელებთ თამაშს, როგორც ესპანეთთან იყო, შანსი ნამდვილად გვექნება.

— საკლუბო ამბებზეც ვთქვათ. „დინამომ“ პირველი წრის შემდეგ „ბორჯომში“ გაგანათხოვრა. რა მოგცა იქ გატარებულმა პერიოდმა?

— სათამაშო დროის ნაკლებობას არ განვიცდიდი და გუნდში კარგი ატმოსფეროც იყო. „ბორჯომში“ გატარებული თვეები სასიამოვნოდ მახსენდება.

— ახლა რას აპირებ, „დინამოში“ ბრუნდები?

— „დინამოს“ მწვრთნელებთან ჯერ არ მისაუბრია და არ ვიცი, რას გადავწყვეტ.

— დუშან უჰრინთან ურთიერთობა მოაგვარე?

— მასთან გადასარევი ურთიერთობა ნამდვილად არა მაქვს, კლუბის უფროსობასთან კი ნორმალურად ვარ.

— ზამთარში შენ და ბექა გოცირიძე აუე-ში იყავით გასინჯვაზე. მაშინ ითქვა, რომ გერმანიაში ჩასვლა ზაფხულშიც მოგიწევდათ...

— სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა, კარიერა უცხოეთში გავაგრძელო და ვნახოთ... კონკრეტულად აუე-ზე კი ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**ნუკრი ლოლაძე**

# იონანიძეს ტრანსფერი უთხრეს

## რა ხდება ზესტაფონში?



**საქართველოს** ჩემპიონატების მთავარმეგოლე ზურაბ იონანიძე ჯერ უქმობს, მისი გუნდი „ზესტაფონი“ კი შეკრებაზეა ბაკურიანში.

იონანიძის გუნდში არყოფნას ორივე მხარე სხვადასხვანაირად ხსნის. იმერული კლუბის პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძის თქმით, „იონა“ გუნდის სრულფლებიანი წევრია და მისი საკითხი დღე-დღეზე გაირკვევა.

თავად ფეხბურთელი კი სულ სხვა რამეს გვეუბნება: „შეკრებაზე წასვლის წინ მითხრეს, რომ ტრანსფერზე ვარ დაყენებული. რატომ, რისთვის, არ აუხსნიათ. ფაქტი ისაა, რომ ამის გამო გუნდს ვერ გავყევი. ჯერჯერობით არაფერი გადამიწყვეტია. ახლა „ზესტაფონის“ პრეზიდენტის ჩამოსვლას ველოდები, რათა შევხვდე და დაველაპარაკო. ყველაფერი ამის შემდეგ გაირკვევა“.

35 წლის ფეხბურთელს იმერული კლუბთან კონტრაქტი კიდევ წელიწადნახევრით აკავშირებს. ამ სეზონში იონანიძემ სარეკორდო, ორასგოლიან ზღვარსაც გადააბიჯა და რატომ დააყენა „ზესტაფონმა“ ტრანსფერზე ერთ-ერთი ლიდერი, რთული სათქმელია...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სავარაუდოთა უარი იმერეთს

**23 ივნისს** „ზესტაფონი“ ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე კუშტანაის „ტობოლს“ შეხვდება. პირველი მატჩი ყაზახეთშია, საპასუხო კი თბილისში.

საინტერტოტოოდ იმერლები გაძლიერებას აპირებენ და ითქვა, შესაძლოა, „ზესტაფონის“ მაისურა კიევის დინამოელმა ოთარ მარცვალაძემ და მახაჩყალის „ანჟის“ ნახევარმცველმა ზურაბ არზიანმა მოირგონო. გუშინ ორივე მათგანს შევეხმიანეთ და ორივემ ერთნაირი პასუხი გაგვცა — ეს პირველად მესმისო.

მარცვალაძე კიევიდან წასვლას კი ფიქრობს, მაგრამ საქარველოში თამაში გამორიცხულიაო, ამბობს. არზიანმა კი, კონტრაქტი მაქვს, თამაშიც მუდმივად მიწევს და, არა მგონია, კლუბმა სადმე გამიშვასო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჩემპიონმა ტბით და ახლებით დაიწყო

**საქართველოს** ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ უკვე შეუდგა მზადებას. მწვრთნელები, ვარლამ კილასონია და შოთა ჭეიშვილი ჯერ ფიზიკური კონდიციების აღდგენაზე ავარჯიშებენ და კუს ტბაზე არბენინებენ გუნდს. „ოლიმპში“ არიან ახალწვეულებიც — ჯაბა დვალი, დავით გიგაური, სერგო ორბელაძე, ლევან სილაგაძე და ალექსანდრე კოშკაძე, გუნდთანაა გიორგი კახელიშვილიც, რომლის „ზესტაფონში“ გადასვლაზე ჯერაც საუბრობენ.

გუნდიდან წასული ოთხეულის გარდა (რევაზ გოცირიძე, ზურაბ ძამსაშვილი, მიხეილ ბერუაშვილი, მიხეილ ჩხარტიშვილი) ჯერჯერობით „ოლიმპთან“ ერთად არ ვარჯიშობენ გიორგი ონიანი და გიორგი სეთურიძე. მათ გერმანული ვარიანტი აქვთ — იენის „კარლ ცაისი“.

„თუ მათ უცხოური ვარიანტი ჩაეშლებათ, „ოლიმპს“ დაუბრუნდებიან“ — გვითხრა რუსთაველი კლუბის პრესსამსახურის უფროსმა მიხეილ ჯორბენაძემ.

მისივე თქმით, ივეგმება უცხოური შეკრებაც, რასაც დირექტორატი, უახლოეს დღეებში გადაწყვეტს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# მახვილაძის საათნახევარი

## რას იტყვის ზარია?

**საქართველოს** ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპიდან“ წასული მცველი მიხეილ მახვილაძე ლუგანსკის „ზარიაშია“ გასინჯვაზე და უკვე ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა.

ლუგანსკელებმა დონეცკის „შახტარის“ მეორე გუნდთან 2:1 იმარჯვეს და მახვილაძემ 90 წუთი გაატარა მოედანზე. როგორ გაგრძელდება მისი და „ზარიას“ ურთიერთობა, ჯერჯერობით უცნობია, ისე კი, ერთ-ერთ ინტერვიუში ლუგანსკელთა თავკაცმა ალექსანდრ კოსევიჩმა თქვა, ახლა ყველაზე მეტად თავდამსხმელი და ცენტრალური მცველი გვჭირდებაო.

აქვე შეგახსენებთ, რომ ლუგანსკურ გუნდში მეორე წრიდან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი გიორგი ჭელიძე თამაშობს, ხოლო „ზარიას“ დუბლშემადგენლობაში კიდევ ორ ქართულ გვარს მივაგენით — კვირკვია და თუთბერიძე, თუმცა მათზე ბევრს ვერაფერს გეტყვით...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ითამაშა გაბისკირიამ და... წავიდა

15 კლუბი გამოუცვლია იური გაბისკირიას და ფეხბურთელის რანგში მეტს ნაღდად აღარ გამოიცვლის — ვეტერანმა ნახევარმცველმა კარიერა დაასრულა.

26 მაისი, „ზესტაფონთან" მოგება და საქართველოს თასის ჩახუტება — ამაზე უკეთესი გამომშვიდობება რაღა გინდა. მართალია, გაბისკირიას ფინალში თამაშმა არ მოუწია, მაგრამ ის ამერელი იყო და ამერელად რჩება...

— ახალგაზრდები მოდიან და ნაღდად დრო იყო, თამაშს შევეშვებოდი. თანაც, იშვიათადღა ვთამაშობდი.

— „ამერში" სამწვრთნელო შტაბში იმუშავებთ?

— რასაც დამავალებენ, იმას გავაკეთებ. „ამერში" ერთი სეზონი გავატარე, მაგრამ ყოველთვის მადლიერი ვიქნები ამ კლუბის. არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ „ამერის" პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას დარი პიროვნებები ერთეულები არიან და კლუბსაც ეტყობა, როგორ პროფესიონალურად ვითარდება.

— კარიერაში ყველაზე სასიამოვნო პერიოდი რომელ გუნდში გქონდათ?

— ქუთაისის „ტორპედო" საბჭოეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაში რომ თამაშობდა. ეს 1989 წელს იყო, პატარა ბიჭი ვიყავი, მაგრამ გუნდში უკვე კარგად ვიჯექი. მაშინ რევაზ ძოძუაშვილი იყო მწვრთნელი.

— უცხოეთში სხვადასხვა გუნდებში გითამაშიათ...

— ცხრა წელი ვიყავი უცხოეთში და ყველაზე კარგად უკრაინულ „ტემპში" გატარებული დრო მახსენდება, სადაც ქართველები ბლომად ვიყავით, მათ შორის, გიორგი ჩიხრაძეც. „ტემპს" ქართველების გუნდსაც ეძახდნენ, შედეგებიც არ გვქონდა ცუდი.

— ისე მოხდა, რომ საქართველოს ჩემპიონი ვერ გახდით...

— სამწუხაროდ, ასეა. 2004 წელს თითქმის ჩემპიონი არ ვიყავი „სიონში"?! სოხუმის „ცხუმში" რომ ვთამაშობდი, სამი ქულით გაგვასწრო „დინამომ", მაშინაც ძალიან დამწყდა გული. აი, თასიც არ მქონდა მოგებული და „ამერთან" ერთად ნავსი გავტეხე.

— საქართველოს ჩემპიონატში მრავალნანახი კაცი ხარ და რას იტყვით, ჩვენი ჩემპიონატის დონე ნელ-ნელა იკლებს?

— როდესაც საბჭოეთს გამოვეყავით და პირველი ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდა, მაშინ მართლა ახლოს ვიყავით ევროპულ დონესთან, მას შემდეგ კი ნელ-ნელა ეცემოდა თამაშის ხარისხი. მერე უცხოეთში ვიყავი და 2002 წელს დავბრუნდი საქართველოში, იმ დროს ექვსეულების სისტემა იყო ჩემპიონატში და დაძაბულობაც მეტი იყო, თუმცა თამაშის ხარისხი ახლანდელს სჯობდა. სამწუხაროდ, ბოლო წლებში უკან-უკან მივდივართ. პირობები ახლა უკეთესი აქვთ კლუბებს, მაგრამ კარგი საყურებელი თამაშები ნაკლებია. კი, იგივე „ამერს" ჰქონდა „დინამოსთან" და „ზესტაფონთან" დასამახსოვრებელი მატჩები, მაგრამ საერთო ჯამში, უფრო მეტია საჭირო. ისე, როცა ძლიერი გუნდები თამაშობენ ერთმანეთში, მაშინ უმეტესად კარგი მატჩები გამოდის...

— „ამერში" ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია. მათზე რას იტყოდით, რამდენად დიდი პოტენციალი აქვთ?

— ისე ხდება, რომ ბევრ ახალგაზრდას „ამერის" ძირითადში თამაში არ უწევს, მაგრამ თავი არ უნდა ჩაქინდრონ, საკუთარ თავზე უნდა იმუშაონ, ეტაპობრივად გაიარონ გასავლელი გზა და მათი დროც მოვა. ძალიან კარგი ახალგაზრდები გვყავს — იგივე ბესიკ ჩიმაკაძე სწორედ ახლა შედიოდა მაგარ ფორმაში, დღითიდღე უმატებდა და სამწუხაროდ, მძიმე ტრავმა მიიღო.

— კარიერაში ყველაზე კარგი პარტნიორი ვინ გყოლიათ?

— ძალიან ბევრი პარტნიორი მყოლია და ვინმეს გამოყოფა არ მინდა. დაჯგუფებები ყოველთვის მეჯავრებოდა — რომელ გუნდშიც ვიყავი, ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა.

ილია ნანობაშვილი





# ჩიხრაძე ამსტერდამშია

## დღეს ამერი იკრიბება

ახალი სეზონისთვის სამზადისი ქართულმა კლუბებმა სატრანსფერო ამბების გარკვევა-მოგვარებით დაიწყეს, ფეხბურთელები კი გუნდების უმეტესობას შვებულებაში ჰყავს გაშვებული.

პირველი გუნდი, რომელმაც ვარჯიში განაახლა, „ზესტაფონია" და ეს ბუნებრივიცაა — იმერლები ხომ ახალ სეზონს სხვებზე ადრე იწყებენ ინტერტოტოს თასით.

დღეს კი ვარჯიშს საქართველოს თასის მიჯრით ორჯერ მომგები და უეფას თასზე გასული თბილისის „ამერი" მთავარი მწვრთნელის გარეშე იწყებს — გიორგი ჩიხრაძე გუშინწინ ამსტერდამში გაემგზავრა სამწვრთნელო კურსებზე და გუნდს 13 ივნისს დაუბრუნდება.

ჩიხრაძის დაბრუნებამდე ერთი დღით ადრე კი „ამერი" პირველი შეკრების გასავლელად ბორჯომში გაემგზავრება.

მეორე შეკრება „ამერს", ტრადიციულად, ჩეხეთში ექნება, სადაც 27 ივნისს წავა, თბილისში კი ამერელები უეფას თასის პირველ თამაშამდე ერთი კვირით ადრე დაბრუნდებიან.

ტრადიციულად, ჩეხეთში მიდიანო, ვთქვით და, შევახსენებთ, რომ ბოლო ოთხ წელიწადში ეს ამერელთა მესამე ჩეხური შეკრება იქნება.

ჩეხეთში, კერძოდ კი, ბლშანის ბაზაზე დაბანაკებულ „ამერს" ექვსი ამხანაგური მატჩის ჩატარება აქვს დაგეგმილი, რომელთაგან ოთხი მატჩი — იქაური გამბრინუსლიგის გუნდებთან.

ბოლოს კი შევახსენებთ, რომ ახალი სეზონისთვის „ამერმა" სიონელი არჩილ ალავიძე და ბათუმელი კობა შალამბერიძე შეიმატა.

ოთარ მხეიძე

# ჩვენ მზად ვართ უმაღლესისთვის!

## საუკეთესო მინდორი გორში იქნებაო

გორის „დილა" უმაღლეს ლიგას კი დაემშვიდობა, მაგრამ როცა ზამთარში კლუბში ახალი ხელმძღვანელობა მივიდა, მათ გავარდნის დიდი ალბათობა გათვალისწინებული ჰქონდათ.

„დილა" ჩვეულებრივ ემზადება და პირველ ლიგაში დიდხანს გაჩერებას არ აპირებს...

„ფინანსურად მყარად ვართ, ყველა ფეხბურთელი შევინარჩუნეთ და თუ საჭირო გახდება, ოთხ-ხუთ კაცსაც დავიმატებთ. ჩვენი გავარდნით ტრაგედია არ მომხდარა, „დილა" ცხოვრებას აგრძელებს" — გვითხრა გორელთა მწვრთნელმა მამუკა ვარდოსანიძემ.

ბოლო დღეებში ხშირად ისმის, შესაძლოა, რომელიმე კლუბმა უფინანსობის გამო უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშოს და „დილას" აენთოს მწვანეო...

ამაზე ვარდოსანიძემ ეს გვითხრა: „ჩვენ მზად ვართ უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ. „დილას" დარი პირობები ბევრ კლუბს არ ექნება".

გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე თებერვალში დაიწყო რეკონსტრუქცია...

„ინტენსიური სამუშაოები მიდის, ინდივიდუალური სკამებიც მონტაჟდება. გარწმუნებთ, ორ თვეში ძალიან კარგი სარბიელი გვექნება. იცვლება ბალახის საფარიც და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ საქართველოში საუკეთესო მინდორი „თენგიზ ბურჯანაძეზე" იქნება".

ილია ნანობაშვილი

# ტორპედო ვაის ველარ გაექცევა

## ქუთაისში ყველაფერი გაურკვეველია

გასული სეზონი ქუთაისის „ტორპედომ" რის ვაი-ვაგლახით ჩაამთავრა და რომ არა პირველ წრეში დაგროვილი ქულები, ვინძლო, საპლეიაუტო დავიდარაბა თავიდან ვერ აეცილებინა.

დღემდე გუნდში სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა, თუმც რაიონისპირული კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ 20 ივნისამდე საქმე სასიკეთოდ შემობრუნდება. „ტორპედოს" დირექტორატი ცდილობს, სერიოზული სპონსორი მოძებნოს და ამბიციური გუნდი ჩამოაყალიბოს.

ახლა „ტორპედო" ისვენებს, თუმც ფეხბურთელები ბაზაზე ხვალ შეიკრიბებიან. ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ არა მწვრთნელად დავით ჯანაშია. არც წამსვლელ-მომსვლელის ვინაობაა გარკვეული. ფეხბურთელთა უმრავლესობას კონტრაქტი დაუმთავრდა და უფულო გუნდში დარჩენაც არავის უნდა.

მოკლედ, ენახოთ, რა მოხდება...

მიხეილ ჟორჟოლიანი

# გილანი?! გადავარჩინოთ ქართველი ახალგაზრდები!

საქართველო — ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩს აზერბაიჯანული „გილანის" მწვრთნელი რამიზ მამედოვი დასწრებია და ჩვენი ნაკრების ორი ფეხბურთელი მოსწონებია. მამედოვს უთქვამს, მათთან მოლაპარაკება უნდა დავიწყოთო — ვინ არიან ეს ფეხბურთელები, „გილანის" თავკაცი არ ამხელს.

რა უნდა ვთქვათ, მამედოვს კარგი მადა ჰქონია. აქამდე აზერბაიჯანის ჩემპიონატში მხოლოდ 25 წელს გადაბიჯებული ქართველი ფეხბურთელები მიდიოდნენ და თუ ახალგაზრდული ნაკრების ბიჭებმაც დაიწყეს იქ წასვლა, ნაღდად ვერ მოვუწონებთ არჩევანს.

რომელი ტრამპლინი „გილანია"?!

ილია ნანობაშვილი

# ჭაბუკების ფინიში

დასრულდა საქართველოს ჭაბუკთა ლიგის 2006-2007 წლების ჩემპიონატი სამივე ასაკობრივ გათამაშებაში.

სამივეგან (1989, 1990, 1991 წლებში დაბადებულები) ქვეყნის ჩემპიონობა თბილისის დინამოელებმა მოიპოვეს.

### 1989 წელს დაბადებულები

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 28 | 24 | 2 | 2 | 99:17 | 74 |
| ოლიმპი | 28 | 23 | 3 | 2 | 76:13 | 72 |
| ლოკომოტივი | 28 | 16 | 7 | 5 | 58:25 | 55 |
| ვიტ ჯორჯია | 28 | 15 | 7 | 6 | 62:20 | 52 |
| ამერი | 28 | 15 | 4 | 9 | 65:37 | 49 |
| ზესტაფონი | 28 | 13 | 4 | 11 | 62:51 | 43 |
| ტორპედო | 28 | 11 | 9 | 8 | 41:35 | 42 |
| მერანი | 28 | 12 | 3 | 13 | 42:36 | 39 |
| ბორჯომი | 28 | 10 | 4 | 14 | 53:58 | 34 |
| ბათუმი | 28 | 9 | 5 | 14 | 43:68 | 32 |
| ცხინვალი | 28 | 8 | 1 | 19 | 30:68 | 25 |
| კახეთი | 28 | 7 | 1 | 20 | 33:91 | 22 |
| ჩიხურა | 28 | 6 | 3 | 19 | 35:64 | 21 |
| დილა | 28 | 6 | 3 | 19 | 33:87 | 21 |
| სიონი | 28 | 6 | 2 | 20 | 40:102 | 20 |

### 1990 წელს დაბადებულები

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 28 | 23 | 2 | 3 | 83:15 | 71 |
| ოლიმპი | 28 | 20 | 3 | 5 | 72:18 | 63 |
| ამერი | 28 | 18 | 5 | 5 | 67:20 | 59 |
| ვიტ ჯორჯია | 28 | 16 | 6 | 6 | 61:23 | 54 |
| ჩიხურა | 28 | 16 | 5 | 7 | 66:26 | 53 |
| ზესტაფონი | 28 | 14 | 6 | 8 | 45:32 | 48 |
| მერანი | 28 | 15 | 3 | 10 | 46:43 | 48 |
| ტორპედო | 28 | 13 | 8 | 7 | 42:28 | 47 |
| სიონი | 28 | 10 | 5 | 13 | 38:49 | 35 |
| ლოკომოტივი | 28 | 10 | 3 | 15 | 52:44 | 33 |
| ბათუმი | 28 | 7 | 7 | 14 | 29:54 | 28 |
| დილა | 28 | 7 | 4 | 17 | 31:65 | 25 |
| კახეთი | 28 | 4 | 4 | 20 | 25:74 | 16 |
| ბორჯომი | 28 | 4 | 3 | 21 | 22:95 | 15 |
| ცხინვალი | 28 | 0 | 2 | 26 | 8:101 | 2 |

### 1991 წელს დაბადებულები

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 28 | 22 | 4 | 2 | 60:15 | 70 |
| ბათუმი | 28 | 21 | 4 | 3 | 57:22 | 67 |
| ოლიმპი | 28 | 18 | 7 | 3 | 78:29 | 61 |
| ვიტ ჯორჯია | 28 | 17 | 6 | 5 | 47:17 | 57 |
| მერანი | 28 | 16 | 4 | 8 | 51:32 | 52 |
| ბორჯომი | 28 | 13 | 4 | 11 | 51:32 | 43 |
| დილა | 28 | 12 | 7 | 9 | 39:35 | 43 |
| ტორპედო | 28 | 12 | 3 | 13 | 42:42 | 39 |
| ამერი | 28 | 12 | 3 | 13 | 36:30 | 39 |
| ლოკომოტივი | 28 | 7 | 11 | 10 | 32:43 | 32 |
| კახეთი | 28 | 8 | 7 | 13 | 36:47 | 31 |
| ზესტაფონი | 28 | 9 | 3 | 16 | 43:61 | 30 |
| ჩიხურა | 28 | 6 | 1 | 21 | 33:70 | 19 |
| სიონი | 28 | 4 | 1 | 23 | 21:65 | 13 |
| ცხინვალი | 28 | 0 | 1 | 27 | 10:96 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბექემს აეროპორტში მიიყვანენ



**დევიდ ბექემი,** მართალია, ევროპიდან ამერიკაში მიდის, მაგრამ იმედი აქვს, რომ ინგლისის ნაკრებში ადგილს არ დაკარგავს და ევრო 2008-სა და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ითამაშებს.

ოთხშაბათს ინგლისელთაგან ესტონეთის ნაკრების 3:0 ძლევის შემდეგ ბექჰმა თქვა:

„ვიმედოვნებ, რომ მაღალ დონეზე კიდევ დიდხანს ვითამაშებ. ჩემს გარშემო ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ამ ცვლილებების მიუხედავად, ვგრძნობ, რომ ჩემი შესაძლებლობები არ ამოწურულა“.

ესტონელთა კარში ორი საგოლე პასის ჩამწოდებელი ვარსკვლავი „რეალიდან“ „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ ამ ზაფხულს გადადის — მოგეხსენებათ, ესპანეთის ჩემპიონატში ორი ტურიღაა დარჩენილი. ამასთან, ამერიკა ევროპიდან შორს არის, რაც ბადებს ეჭვს, რომ ბექემი ოკეანის აქეთ-იქით ფრენას ვერ შეძლებს, მაგრამ თავად ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ მის სანაკრებო კარიერას ვერც ასაკი შეუშლის ხელს და ვერც მანძილი — დევიდს მიზნად მეოთხე მუნდიალზე მონაწილეობა დაუსახავს, რაშიც მისთვის ხელის შეშლას არც „ლოს ანჯელეს გალაქსის“ გენერალური მენეჯერი, წარსულში ცნობილი ამერიკელი ფეხბურთელი ალექს ლალასი აპირებს. რადიო BBC-სთან ინტერვიუში ლალასმა განაცხადა:

„ჩვენ პატივს ვცემთ ფიფას წესს, რომლის მიხედვითაც ვალდებულნი ვართ, სანაკრებოდ ნებისმიერი ფეხბურთელი გავათავისუფლოთ. თუ ინგლისის ნაკრებისთვის საჭირო იქნება, დევიდს აეროპორტამდე მივაცილებთ. ეს დევიდისთვისაც პატივი იქნება და „გალაქსისთვისაც“. იმის განცხადება, რომ ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ფეხბურთელი ინგლისის ნაკრების წევრია, მართლაც ფრიად საამაყო იქნება“.

შემდეგ ლალასმა „მეიჯორ ლიგ სოკერის“, ანუ ამერიკის უმაღლესი საფეხბურთო ლიგის დონეც შეაქო:

„ჩვენთან ძალიან მაღალი დონეა, ასე რომ, თუ ინგლისის ნაკრები ბექემს გამოიძახებს, გარანტიას ვაძლევთ, რომ ფიზიკურად და მენტალურად კარგად მომზადებულ ფეხბურთელს გავუგზავნით“.

**პაპუნა ძიდია**

# უფეხო ბიჭი, რომელიც ფეხბურთს თამაშობს



**„მანჩესტერის“** ქომაგი, 10 წლის გრეგ ვებერტონი ფეხბურთს თამაშობს და ბურთითაც ჟონგლიორობს. საკვირველი ისაა, რომ გრეგს ფეხების ნაცვლად... პროთეზი აქვს. დაბადებიდან ინვალიდს, ერთი წლისას მოაჭრეს ფეხები.

თუმცა ტრაგედია ამით არ მთავრდება, რადგან ბიჭის ერთი ხელი დე[illegible]ირიბულია, მეორეს კი სრულფასოვნად ვერ ხმარობს.

[illegible] ვებერტონი კარატეშიც ვარჯიშობს და სამი ქამ[illegible] [illegible]ია, ფეხბურთი კი მამამ შეაყვარა.

მომავალში გრეგი ინგლისის ინვალიდთა ნაკრებში თამაშს აპირებს, თუმც აქ ერთი პრობლემაა — ნაკრებში მხოლოდ ცალფეხმოჭრილებს ათამაშებენ.

ბიჭი მაინც იმედიანადაა და თავის გუნდს ქმნის...

„ძალიან მინდა, ინვალიდების ლიგაში და ნაკრებში ბურთის გაგორება, კარატეში კი შავი ქამრის აღება“ — თქვა ვებერტონმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# აზერბაიჯან — სომხეთს ეუთო უმსაჯებს

**ესპანეთმა,** როგორც ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანამ, აზერბაიჯანს და სომხეთს ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩების თავის სტადიონზე გამართვა შესთავაზა.

ესპანელთა საგარეო საქმეთა მინისტრი მიგელ ანხელ მორატინო ამ კვირაში ბაქოს და ერევანს ესტუმრა და აღნიშნულ თემაზე ესაუბრა მთავრობის წევრებს.

ორივე ქვეყანა დადებითად შეხვდა ამ წინადადებას და თუ დათანხმდნენ, ბოლო სიტყვა უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ უნდა თქვას.

გათამაშების კალენდრის მიხედვით, 8 სექტემბერს აზერბაიჯანი მასპინძლობს სომხეთს, ოთხი დღის შემდეგ კი პირიქით.

**ვაჟა ხუციშვილი**

# წვეტი დაგორდა და...



**„ჩელსიმ“** ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასს ხუფზე წვეტი მოატეხა: ეს ამბავი, როგორც ჩანს, ფინალის დამთავრებისთანავე, ზეიმის დროს მოხდა, მაგრამ იქვე არ დაეტყო, თუ რა იყო... მოკლედ, წვეტმა თუ უწვეტობამ თავი მერე იჩინა, უკვე ლონდონური კლუბის ოფისში, უფრო სწორად კი, „სტემფორდ ბრიჯზე“, მუზეუმში, სადაც 20 გირვანქად ნებისმიერ გულშემატკივარს შეეძლო მისულიყო და სანუკვარ ჯილდოებთან, ფეხბურთის ასოციაციისა და „კარლინგის“ თასებთან ფოტო გადაეღო. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გადაღების დროს ჩამოგორდა ხუფიდან წვეტი, რომელიც ფოტოგრაფმა აიღო, ისევ ხუფს დაადო თუ დაარჭო და გადაღებები გააგრძელა.

დღეს თასი ისევ „სტემფორდ ბრიჯზეა“ და ვისაც 20 გირვანქა არ უჭირს, მასთან კვლავ შეუძლია ფოტოს გადაღება, აი, ხუფი კი ბირმინგემშია, ფეხბურთის ასოციაციის სპეციალისტთან, რომელსაც წვეტი თავის ადგილზე უკვე დაუმაგრებია.

**პაპუნა ძიდია**

# თოფი მალუდას

**„თაიმსის“** ცნობით, „არსენალი“ „ლიონს“ ფლორენ მალუდაზე ევაჭრება. საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა უარი თქვა „ლივერპულში“ გადასვლაზე და ალბათ „მეთოფე“ გახდება, რომლებიც 8 მილიონ გირვანქას იხდიან.

არსენ ვენგერს თავიდან აიაქსელი რაიან ბაბელის შეძენა სურდა, მაგრამ უფრო გამოცდილი მარცხენაფლანგელი მალუდა არჩია. „არსენალში“ ლიონელის მისვლის შემდეგ ტომაშ როსიცკი ნახევარდაცვის შუაში ითამაშებს.

# ბრალდებული ლინკოლნი

**„შალკეს“** ბრაზილიელი ნახევარმცველი ლინკოლნი კლუბიდან წასვლაზე ალაპარაკდა, რადგან „ხუმარების“ ფანობა „შტუტგარტთან“ საჩემპიონო ბრძოლის წაგებას სწორედ ბრაზილიელს აბრალებს. ლინკოლნმა ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო ხუთი ტური გამოტოვა და „შალკემაც“ ამ მატჩებიდან რამდენიმე ვერ მოიგო.

„შპორტალის“ ცნობით, ნახევარმცველს „გალათასარაი“ ეპატიჟება, სადაც სამი დღის წინ მწვრთნელად გერმანელი კარლ-ჰაინც ფელდკამპი დანიშნეს.

# ხაბის ხუთი

**„ლივერპულის“** ნახევარმცველმა ხაბი ალონსომ კონტრაქტი ხუთი წლით გაახანგრძლივა.

„ბევრი კლუბი მეპატიჟებოდა, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, რომ „ლივერპულში“ დარჩენა მინდა — თქვა ალონსომ — მსურს, ვიყო იმ გუნდის ფეხბურთელი, რომელსაც დიდი მომავალი აქვს“.

შეგახსენებთ, რომ კლუბი ამერიკელმა ბიზნესმენებმა, ტომ ჰიკსმა და ჯორჯ ჯილეტმა შეიძინეს და გუნდის გაძლიერებას აპირებენ.

ხაბი ალონსო „ლივერპულმა“ 2005 წელს ესპანური „სოსიედადიდან“ შეიძინა.

# ფილიპი რჩება

**ფილიპ მექსეში** „რომადან“ არ მიდის და ამის დასტურად კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივა. მისი აქამდელი ხელშეკრულების ვადა 2008-ის ივნისში იწურებოდა.

ფრანგი მცველი სეზონში მილიონ 700 ათას გირვანქას მიიღებს. მექსეში „რომაში“ 2004 წელს „ოსერიდან“ გადავიდა.

# ნეჯათი ორიდან ხუთამდე

**„ლევერკუზენი“** „გალათასარაიდან“ ნეჯათი ათეშის ყიდვას აპირებს და სტამბოლელებს 2 მილიონ ევროს სთავაზობს.

27 წლის ფორვარდმა 79 მატჩში 37 გოლი შეაგდო, ნაკრებში კი 19-ჯერ უთამაშია.

ნეჯათი გამოირჩევა ღონით, აგრესიულობით და ზუსტი პასებით. „გალათასარაი“ 5 მილიონს ითხოვს.

# ყოფილი პარტიზანი პსვ-ში

**სერბეთის** ნაკრების და „ვიტესის“ ფორვარდი დანკო ლაზოვიჩი პსვ-ში გადავიდა. ჰოლანდიის მოქმედმა ჩემპიონებმა 24 წლის ფეხბურთელში 6 მილიონი ევრო გადაიხადეს და ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

ლაზოვიჩს, რომელმაც გასულ სეზონში 19 გოლი გაიტანა, „პარტიზანში“, „ფეიენოორდში“ და „ლევერკუზენში“ უთამაშია.

# რიკარდო: მონაკოს პრინცი

**„ბორდოს“** მწვრთნელი რიკარდო „მონაკოს“ თავკაცი გახდა და ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ბრაზილიის ნაკრებისა და „პარი სენ ჟერმენის“ ყოფილი მცველი „ბორდოში“ 2005 წლიდან მუშაობდა. მისი ადგილი კი ჟირონდულ კლუბში ლორან ბლანმა დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ „მონაკოდან“ ერთი კვირის წინ ლორან ბანიდე გაათავისუფლეს.

# პეპემ ხუთზე მოაწერა

**„ლივერპულის“** ესპანელმა მეკარემ პეპე რეინამ კონტრაქტი ხუთი წლით გაახანგრძლივა.

„ჩვენ რამდენიმე ფეხბურთელთან ვილაპარაკეთ ხელშეკრულების გაგრძელებაზე და მათ შორის რეინაც იყო — თქვა ბენიტესმა — მან ორი საუცხოო სეზონი გაატარა ჩვენთან. ჯერ 24 წლისაა და კიდევ უფრო უკეთესი გახდება. რეინამდე ახალი კონტრაქტები გააფორმეს ჯერარდმა და კარაგერმა, ანუ ჩვენ ვინარჩუნებთ გუნდის ბირთვს და სამომავლოდ დიდი გეგმები გვაქვს“.

პეპე რეინა „ლივერპულში“ 2005 წელს ესპანური „ვილიარეალიდან“ გადავიდა.

# პედერცოლიმ ტრეზეგე თქვა

**„ლივერპულის“** წარმომადგენელმა მაურო პედერცოლიმ დაადასტურა, რომ დაინტერესებულნი არიან ტურინის „იუვენტუსის“ ფორვარდ დავიდ ტრეზეგეთი.

„ჩვენ ვეძებთ უმაღლესი კლასის ფორვარდს და ტრეზეგეს შეძენაზე ვფიქრობთ, მაგრამ სულაც არ ვაპირებთ მასში ხაბი ალონსოს გაცვლას, როგორც ამას მედიაში წერდნენ“ — თქვა მაურო პედერცოლიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დომენიკი და ლუდოვიკი



ბარსელონელი ლუდოვიკ ჟიული მამამ თქვა, ჩემი შვილი სეზონის ბოლოს წავა და, „მონაკოში“ ან „მარსელში“ გადავაო.

ფრანგი ნახევარმცველის კონტრაქტი „ბარსელონასთან“ 2008 წლის ივნისში იწურება, მაგრამ ფეხბურთელმა ამას წინათ განაცხადა, რომ სამშობლოში დაბრუნება სურს.

მამა დომენიკმა, რომელიც შვილის აგენტია, აღნიშნა, რომ საფრანგეთიდან მის შვილს „მონაკო“ და „მარსელი“, იტალიიდან კი „ფიორენტინა“ და „იუვენტუსი“ დაუკავშირდნენ.

„ლუდოვიკმა ფრანკ რაიკარდთან საუბრის მერე მითხრა, 80 პროცენტით გადაწყვეტილია ჩემი წასვლაო“ — გაამხილა ბატონმა დომენიკმა.

ლუდოვიკ ჟიული „ლიონის“ გაზრდილია, საიდანაც 1998-ში „მონაკოში“ გადავიდა, 2004-ში „ბარსას“ მაისურა მოირგო.

2006-ში იგი ესპანეთის ჩემპიონი და ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა.

ვაჟა ხუციშვილი

# დანია კოპენჰაგენიდან გააგდეს

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა დანია — შვედეთის მატჩისას მომხდარი გაარჩია და მასპინძლებს 0:3 წაგება ჩაუთვალა, დანიის ფეხბურთის ფედერაცია კი 61 ათასი ევროთი დააჯარიმა. გარდა ამისა, მომდევნო ოთხი საშინაო მატჩის კოპენჰაგენიდან 250 კილომეტრის მოშორებით გამართვა მიუსაჯეს. აქედან პირველს (ლიხტენშტაინთან 12 სექტემბერს) უმაყურებლოდ ითამაშებენ.

შევახსენებთ, რომ მატჩის 89-ე წუთზე, როცა ანგარიში 3:3 იყო, მსაჯმა ჰერბერტ ფანდელმა დანიელთა კარში პენალტი დანიშნა, რადგან კრისტიან პოულსენმა მეტოქეს მუცელში მუშტი ჰკრა. პოულსენი გააძევეს და ფანდელმა ნიშნულისკენ მიუთითა. ამ დროს კარის უკნიდან მასპინძელი ფანი გამოვარდა და მსაჯს ყურში შემოარტყა, მერე კი ფეხბურთელებმა დაიჭირეს.

შეშინებულმა ჰერბერტ ფანდელმა თამაში შეწყვიტა.

პოულსენს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს და ერთი უკვე მოიხადა.

ვაჟა ხუციშვილი

# ბარსამ ინტერს გადააბიჯა

„ბარსელონა“ ცდილობს, „რომადან“ რუმინელი კრისტიან კივუ გადაიბიროს, რომლის „ინტერში“ გადასვლასაც, იტალიური მედიის ცნობით, რამდენიმე დღის წინ ბევრი არაფერი უკლდა. ახლა ვითარება შეიცვალა და საქმეში „ბარსა“ ჩაერია, ვინც კივუს წელიწადში 4 მილიონ ევროს სთავაზობს.

რუმინელი მცველი „რომაში“ 2 მილიონ 500 ათასს იღებს.

# კატალონიას არ სჯერა

„იუვენტუსი“ იმედოვნებს, რომ „ბარსელონა“ ანდრეს ინიესტას დაუთმობს დავიდ ტრეზეგეს სანაცვლოდ — წერს GOAL.COM

კატალონიურ პრესას ამ გაცვლის მაინცდამაინც არ სჯერა, მიუხედავად იმისა, რომ „ბარსა“ თავის დროზე „ნადირობდა“ ტრეზეგეზე და მას შემდეგლა იყიდა სამუელ ეტოო, რაც ფრანგმა „იუვესთან“ კონტრაქტი გააახანგრძლივა.

# ხუმრობს და იცინის მარია

„სევილიას“ პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ „ჩელსის“ დასცინა. ჩელსელებს სევილიელი დანიელ ალვეშის ყიდვა უნდათ და ცოტა ხნის წინ 12 მილიონი გირვანქა შესთავაზეს ესპანურ კლუბს. დელ ნიდოს პასუხი კი ასეთი იყო: „ეს თანხა საკმარისია მხოლოდ იმისთვის, რომ ალვეშის ბუცები თასმებიანად შეიძინონ“.

# შახტარის ახალი ემბლემა

დონეცკის „შახტარს“ ახალი ემბლემა ექნება. პროექტი კომპანია interbrand-მა განახორციელა. ამავე ფირმამ 2004 წელს ტურინის „იუვენტუსს“ გაუკეთა ახალი ემბლემა.

უკრაინელი ჟურნალისტების მტკიცებით, ახალი ლოგო ძირეულად განსხვავებული იქნება ძველისგან.

**XXXVII ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| ლევანტე | : | ვალენსია |
| ვილიარეალი | : | ბილბაო |
| მალიორკა | : | სევილია |
| სარაგოსა | : | რეალი |
| ბარსელონა | : | ესპანიოლი |
| ატლეტიკო | : | სელტა |
| ბეტისი | : | ოსასუნა |
| სოსიედადი | : | რასინგი |
| **ხვალ** | | |
| ხეტაფე | : | ხიმნასტიკი |
| დეპორტივო | : | უელვა |

# ესპანეთი

# რეალი, ბარსელონა, სევილია: სარაგოსა, ესპანიოლი, მალიორკა

„სარაგოსა“, „ესპანიოლი“ და „მალიორკა“ — რომელი მიაყენებს სასიკვდილო ჭრილობას ამ სამეულიდან ლა ლიგის ჩემპიონობის მაძიებელ მავან გრანდს? დღეს დიდი თამაშებია ესპანეთში. ხსენებული გუნდები ოქროს მედლების კანდიდატებს — მადრიდის „რეალს“, „ბარსელონასა“ და „სევილიას“ ერკინებიან და სავსებით შესაძლებელია, პრიმერას ბედი ბოლოსწინა ტურში გაირკვეს.

„რეალი“ „ლა რომარედას“ სტუმრობს, არენას, სადაც კასტილიურმა გრანდმა შარშან კოპა დელ რეის ნახევარფინალში 1:6 წააგო. „სარაგოსას“ ფეხბურთელები აცხადებენ, რომ დედაქალაქელებს იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელით. ვიქტორ ფერნანდესის გუნდი „სევილიასთან“ დამარცხდა და ცხრილში სიტუაცია გაირთულა. ასე რომ, უეფას თასზე მოსახვედრად „სარაგოსას“ მადრიდელთა დამარცხება სჭირდება.

„სარაგოსას“ არგენტინელი მოთამაშეები ახლახან დაუბრუნდნენ — ძმები მილიტოები და პაბლო აიმარი შვეიცარიასთან და ალჟირთან სათამაშოდ იყვნენ გამოძახებულნი მშობლიურ „ალბისელესტეში“. ამბობენ, რომ პატაგონიური ბრიგადა „სარაგოსაში“ დაქანცული დაბრუნდა, თუმცა ეს მათ „რეალთან“ მატჩში მონაწილეობაში ხელს ვერ შეუშლის. მასპინძელთაგან ვინც ვერ ითამაშებს, ეს მუხლმტკივანი სერხიო გარსიაა.

აღსანიშნავია, რომ სარაგოსელებს შინ მთელი მეორე წრის განმავლობაში არ წაუგიათ. ვიქტორის გუნდმა „ლა რომარედაზე“ ბოლო 6 მატჩი მოიგო და 2 ფრედ დაასრულა.

რაც შეეხება „რეალს“, კარგა ხანია, კასტილიელებს არანაირი ტიტული არ დაუგემოვნებიათ და საერთოდ, სამეფო გუნდის ჩავარდნა და გაჭირვება 2003 წელს სწორედ „სარაგოსასთან“ თასის ფინალის წაგებით დაიწყო. ამიტომაცაა მთელი სამეფო ბანაკი საომრად განსაკუთრებით მომართული.

მადრიდში ამბობენ, მაშინდელი კრიზისი არაგონელებთან შეხვედრით აფეთქდა, ახლა კი „სარაგოსას“ დამარცხებით სათავე ახალ, ბრწყინვალე ეპოქას უნდა დავუდოთო.

ისე, „რეალს“ „ლა რომარედაზე“ 2001-02 წლების სეზონის მერე არ წაუგია...

ჯერ ვინ იცის, ჩემპიონი რომელი გუნდი გახდება, მაგრამ ფაბიო კაპელოს „ფინალური სერია“ რომ ისტორიას აუცილებლად შემორჩება, უეჭველია. იტალიელმა რამდენიმე ხნის წინ თქვა, წაგებები და ქულათა განიავება გვეყო, ამის შემდეგ ყველა თამაში ფინალივით უნდა ვითამაშოთო და აასრულა კიდეც. „რეალის“ ბოლო მატჩი ფინალს კი არა, მძაფრსიუჟეტიან ტრილერს უფრო წააგავდა.

სამეფო თეთრები რისკიანად თამაშობენ, თავადაც თავს იგიჟებენ, ინჩასებსაც აგიჟებენ და ბოლოს მოგება მათ რჩებათ... ახლა ორი ფინალი დარჩა — ერთი დღეს „სარაგოსასთან“ და მეორე ბოლო ტურში „მალიორკასთან“.

მადრიდელთა მთავარი საწუხარი ინგლისიდან ტრავმით ჩასული დევიდ ბექემია — მას სანაკრებო თამაშში კოჭი ეტკინა, მაგრამ დანებებას არ აპირებს და ესპანურ „მარკასაც“ განუცხადა: „სარაგოსაში მივდივარ და „ლა რომარედაზეც“ ვითამაშებ“.

„ბარსელონა“ კი თანაქალაქელ მტერს დისკვალიფიცირებული ედმილსონის და, რაც ყველაზე მთავარია, რონალდინიოს გარეშე დაუხვდება. კოჭამ წინა ტურში „ხეტაფეს“ ფეხბურთელი მიწიხლა, წითელი ბარათი მიიღო და „ესპანიოლთან“ თამაშის უფლებაც წაერთვა. რონის ადგილს ინიესტა დაიკავებს, ედმილსონისას კი — ტიაგო მოტა.

„თუთიყუშებს“ (ესპანიოლელთა მეტსახელი) 25 წელია, „კამპ ნოუზე“ არ მოუგიათ. შარშან კი „ბარსას“ არენაზე ჰაერივით სასიცოცხლო ქულების საძებნელად ჩასულ „ესპანიოლს“ იქაურმა ინჩადამ „ა სეგუნდა, ა სეგუნდა“ უმღერა, ანუ სეგუნდადივიზიონში წაეთრიეთო. ახლა „თუთიყუშები“ ვენდეტით იმუქრებიან — მაგათ შეურაცხმყოფელ სიმღერებს წლეულს საჩემპიონო ქულების წართმევით ცხვირში ძმრად ამოვადენთო.

საერთოდ, თეთრ-ცისფრები მაგარ-მაგარი გამონათქვამებით არიან ცნობილნი. შაბათის მატჩამდეც „ბარსელონა“ და მისი ხალხი ფრიად გამოლანძღეს და აი, შედეგიც — პოლიცია გაფაციცებულია, „კამპ ნოუზე“ ადგილობრივთაგან მტრების დარბევა ივეგმება.

„მალიორკამ“ ჯერ „სევილია“ უნდა გამოსცადოს, მერე კი მადრიდის „რეალი“.

„სევილიას“ მწვრთნელი ხუანდე რამოსი კი დაცვაში პრობლემებითაა შეწუხებული. დრაგუტინოვიჩი და ხავი ნავარო სანაკრებო თამაშებიდან კოჭლობით დაბრუნდნენ და ჯერ არავინ იცის, „მალიორკასთან“ თამაშს შეძლებენ თუ ვერა. თუ ვერ ითამაშეს, ხუანდე მათ პუერტათი და აიტორ ოსიოთი შეცვლის.

ვერ ითამაშებენ ტრავმირებულები — კანუტი და კერჟაკოვი.

ლადო ხომერიკი

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 2:0 | 3:2 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 0:0 | 1:1 | 0:3 | 3:1 | | 4:3 | 3:1 | 2:0 | 0:1 | 0:0 | 2:1 | 2:0 | 1:2 | 2:0 | 36 | 22 | 6 | 8 | 61:37 | 72 | 11 | 4 | 3 | 29:17 | 37 | 11 | 2 | 5 | 32:20 | 35 |
| 2 | ბარსელონა | 3:3 | | 3:1 | 1:1 | 3:1 | 1:1 | 4:0 | 1:0 | 3:0 | 2:0 | 1:0 | | 2:1 | 3:0 | 1:0 | 1:1 | 3:0 | 1:0 | 3:1 | 3:0 | 36 | 21 | 9 | 6 | 71:30 | 72 | 14 | 4 | 0 | 39:10 | 46 | 7 | 5 | 6 | 32:20 | 26 |
| 3 | სევილია | 2:1 | 2:1 | | 3:0 | 3:1 | 3:1 | | 1:0 | 2:1 | 0:0 | 1:2 | 3:1 | 4:0 | 2:0 | 4:0 | 3:2 | 4:1 | 0:0 | 2:0 | 2:1 | 36 | 21 | 7 | 8 | 64:34 | 70 | 15 | 2 | 1 | 41:12 | 47 | 6 | 5 | 7 | 23:22 | 23 |
| 4 | ვალენსია | 0:1 | 2:1 | 2:0 | | 2:0 | 3:1 | 2:3 | 2:0 | 2:0 | 0:2 | 3:1 | 3:2 | 4:0 | 1:0 | 3:0 | 2:1 | 1:1 | | 1:0 | 4:0 | 36 | 20 | 5 | 11 | 52:35 | 65 | 14 | 1 | 3 | 37:13 | 43 | 6 | 4 | 8 | 15:22 | 22 |
| 5 | სარაგოსა | | 1:0 | 2:1 | 0:1 | | 1:0 | 1:0 | 3:1 | 0:0 | 0:0 | 2:0 | 3:0 | 1:1 | 1:2 | 2:2 | 2:1 | 4:3 | 3:2 | 2:0 | 3:0 | 36 | 16 | 10 | 10 | 52:40 | 58 | 12 | 4 | 2 | 31:14 | 40 | 4 | 6 | 8 | 21:26 | 18 |
| 6 | ატლეტიკო | 1:1 | 0:6 | 2:1 | 0:1 | 0:1 | | 3:1 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 1:1 | 1:2 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 1:1 | | 0:0 | 36 | 16 | 9 | 11 | 42:35 | 57 | 8 | 6 | 4 | 18:17 | 30 | 8 | 3 | 7 | 24:18 | 27 |
| 7 | ვილიარეალი | 1:0 | 2:0 | 0:0 | 0:1 | 3:2 | 0:1 | | 1:0 | 0:1 | 2:1 | 2:1 | 0:0 | 0:2 | 1:4 | 1:1 | 3:2 | | 1:1 | 1:0 | 2:0 | 36 | 16 | 8 | 12 | 44:43 | 56 | 9 | 4 | 5 | 20:17 | 31 | 7 | 4 | 7 | 24:26 | 25 |
| 8 | ხეტაფე | 1:0 | 1:1 | 0:0 | 3:0 | 2:2 | 1:4 | 3:0 | | 1:1 | 1:0 | 1:0 | 0:1 | 2:0 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 1:0 | | 36 | 14 | 10 | 12 | 38:30 | 52 | 9 | 7 | 2 | 21:10 | 34 | 5 | 3 | 10 | 17:20 | 18 |
| 9 | უელვა | 2:3 | 0:4 | 1:3 | 2:0 | | 1:0 | 2:1 | 1:2 | | 4:2 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 0:1 | 2:0 | 0:0 | 1:0 | 4:2 | 2:1 | 36 | 14 | 8 | 14 | 48:49 | 50 | 9 | 3 | 6 | 26:22 | 30 | 5 | 5 | 8 | 22:27 | 20 |
| 10 | რასინგი | 2:1 | 0:3 | 0:0 | 1:0 | 0:2 | 0:1 | 2:1 | 1:0 | 4:3 | | 0:2 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 2:3 | | 5:4 | 1:0 | 1:1 | 4:1 | 36 | 12 | 13 | 11 | 42:46 | 49 | 9 | 4 | 5 | 25:23 | 31 | 3 | 9 | 6 | 17:23 | 18 |
| 11 | მალიორკა | 0:1 | 1:4 | | 0:1 | 2:1 | 0:0 | 1:2 | 2:0 | 2:1 | 1:2 | | 1:0 | 0:0 | 3:1 | 3:1 | 2:0 | 1:3 | 0:0 | 2:2 | 1:0 | 36 | 14 | 6 | 16 | 40:44 | 48 | 8 | 4 | 6 | 22:19 | 28 | 6 | 2 | 10 | 18:25 | 20 |
| 12 | ესპანიოლი | 0:1 | 3:1 | 2:1 | 1:1 | 1:2 | 2:1 | 1:1 | 1:5 | 0:1 | 2:2 | 3:1 | | | 0:0 | 1:1 | 2:2 | 3:2 | 1:0 | 2:1 | 0:1 | 36 | 12 | 12 | 12 | 43:48 | 48 | 7 | 6 | 5 | 25:24 | 27 | 5 | 6 | 7 | 18:24 | 21 |
| 13 | დეპორტივო | 2:0 | 1:1 | 1:2 | 1:2 | 3:2 | 1:0 | 2:0 | 1:0 | | 0:0 | 1:0 | 0:0 | | 1:0 | 0:0 | 0:1 | 0:2 | 2:0 | 0:1 | 1:0 | 36 | 11 | 11 | 14 | 27:39 | 44 | 9 | 4 | 5 | 17:11 | 31 | 2 | 7 | 9 | 10:28 | 13 |
| 14 | ოსასუნა | 1:4 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 2:2 | | 1:4 | 0:2 | 1:1 | 0:1 | 3:0 | 0:2 | 4:1 | | 2:1 | 5:1 | 1:1 | 2:0 | 0:1 | 2:0 | 36 | 12 | 7 | 17 | 45:47 | 43 | 6 | 6 | 6 | 25:22 | 24 | 6 | 1 | 11 | 20:25 | 19 |
| 15 | ლევანტე | 1:4 | 1:1 | 2:4 | | 0:0 | 0:3 | 0:2 | 1:1 | 2:1 | 2:0 | 0:1 | 0:0 | 2:0 | 1:4 | | 1:1 | 0:0 | 2:0 | 1:1 | 2:0 | 36 | 9 | 12 | 15 | 33:49 | 39 | 5 | 7 | 6 | 18:23 | 22 | 4 | 5 | 9 | 15:26 | 17 |
| 16016 | ატლეტიკო-სელტა | 1.24 | 3.60 |
| 16017 | სოსიედადი-რასინგი | 1.17 | 4.10 |
| 16018 | სარაგოსა-რეალი | 3.00 | 1.30 |
| 16019 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.05 | 5.70 |
| 16020 | მალიორკა-სევილია | 3.60 | 1.23 |
| 16021 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.23 | 3.60 |
| 16045 | სტრიომსგოდსეტი-ვიკინგი | 1.80 | 1.85 |
| 16046 | სტაბეკი-ლინი | 1.40 | 2.55 |
| 16047 | ტრომსიო-ალესუნდი | 1.23 | 3.60 |
| 16048 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 1.22 | 3.40 |
| 16049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.10 | 5.50 |
| 16050 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.24 | 3.60 |
| 16051 | ბრანი-ლილესტრიომი | 1.62 | 2.05 |
| 16052 | სოგნდალი-ჰამარი | 1.80 | 1.80 |
| 16053 | მოსი-მანდალი | 1.14 | 4.70 |
| 16054 | სპარტა ს-პიონეფოსი | 1.80 | 1.80 |
| 16055 | ბრინი-ბოდიო გლიმტი | 1.80 | 1.85 |
| 16056 | ჰაუგესუნდი-ნოტოდენი | 1.23 | 3.60 |
| 16057 | ლოვ ჰამ-სკეიდი | 1.52 | 2.20 |
| 16058 | მოლდე-ტრომსდალენი | 1.12 | 4.60 |
| 16059 | რაუფოსი-კონგსვინგერი | 1.80 | 1.85 |
| 16060 | აიკ-იორებრო | 1.23 | 3.60 |
| 16061 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 3.30 | 1.25 |
| 16062 | ტრელებორგი-გეფლე | 1.55 | 2.20 |
| 16063 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.62 | 2.05 |
| 16067 | დეგერფორსი-ჰეკენი | 2.40 | 1.45 |
| 16068 | მიალბი-ბანკეფლო | 1.32 | 3.00 |
| 16069 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 1.40 | 2.55 |
| 16070 | ლიუნგსკილე-სილვია | 1.25 | 3.40 |
| 16074 | ჰიკ-იარო | 1.17 | 4.10 |
| 16075 | ვიკინგტი-ტურკუ | 2.45 | 1.40 |
| 16076 | ვპს-ოულუ | 1.55 | 2.20 |

## გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2
## (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17012 | ბეტისი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ხეტაფე-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17014 | დეპორტივო-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17015 | ლევანტე-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ატლეტიკო-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17017 | სოსიედადი-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | სარაგოსა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | მალიორკა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17045 | სტრიომსგოდსეტი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17046 | სტაბეკი-ლინი | 1.85 | 1.95 |
| 17047 | ტრომსიო-ალესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17048 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 1.85 | 1.95 |
| 17049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17050 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.85 | 1.95 |
| 17051 | ბრანი-ლილესტრიომი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | სოგნდალი-ჰამარი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | მოსი-მანდალი | 1.85 | 1.95 |
| 17054 | სპარტა ს-პიონეფოსი | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ბრინი-ბოდიო გლიმტი | 1.85 | 1.95 |
| 17056 | ჰაუგესუნდი-ნოტოდენი | 1.85 | 1.95 |
| 17057 | ლოვ ჰამ-სკეიდი | 1.85 | 1.95 |
| 17058 | მოლდე-ტრომსდალენი | 1.85 | 1.95 |
| 17059 | რაუფოსი-კონგსვინგერი | 1.85 | 1.95 |
| 17060 | აიკ-იორებრო | 1.85 | 1.95 |
| 17061 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 1.85 | 1.95 |
| 17062 | ტრელებორგი-გეფლე | 1.85 | 1.95 |
| 17063 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |
| 17067 | დეგერფორსი-ჰეკენი | 1.85 | 1.95 |
| 17068 | მიალბი-ბანკეფლო | 1.85 | 1.95 |
| 17069 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | ლიუნგსკილე-სილვია | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ჰიკ-იარო | 1.85 | 1.95 |
| 17075 | ვიკინგტი-ტურკუ | 1.85 | 1.95 |
| 17076 | ვპს-ოულუ | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ჩინური თადარიგი

## მოჭიდავეები დიდ სტუმრიანობას ელიან


ომზარ შოშიტაშვილი

14-15 ივლისს ლეგენდარული ქართველი მოჭიდავეების ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირს „ქარიშხალას" დარბაზი რომ უმასპინძლებს, უკვე გადაწყვეტილი ამბავია. სხვა საორგანიზაციო წვრილმან-მსხვილმანებზე საუბარი კი ჯერ ცოტა ადრეა, ისევე როგორც სტუმართა რაოდენობასა და შემადგენლობების ხარისხზე. თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ტრადიციული ქართული შეჯიბრი ბოლო წლებთან შედარებით წარმომადგენლობითი გამოვა.

„ოფიციალური განაცხადი არც ერთი ქვეყნის ფედერაციისგან არ მიგვიღია და, სიმართლე გითხრათ, ჯერ არც ველით — გვითხრა გუშინ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა *ომზარ შოშიტაშვილმა* — ოფიციალური საბუთის მიღების ბოლო ვადა 5 ივლისია და, როგორც წესი, ყველა ერთი კვირით, ან სულაც რამდენიმე დღით ადრე აგზავნის ხოლმე. ასე რომ, საგანგაშო არაფერია. პირიქით, ჩამომსვლელები თადარიგს აქედანვე იჭერენ და უხვსტუმრიანობის იმედსაც სწორედ ეს გვაძლევს".

ყველაზე რეალური კი ამ დროისთვის ჩინელების სტუმრობა ყოფილა. მომავალი ოლიმპიადის მასპინძლებს თბილისურ ტურნირზე ჭიდაობის სურვილი აქამდე არასოდეს ჰქონიათ. საპეკინე მოსამზადებელ ციკლში კი საქართველოც ჩასვეს და შეჯიბრამდე ორი კვირით ადრე ჩამოსვლა და შეკრების მოწყობაც დაუგეგმავთ. ორგანიზატორებს უკვე იაპონიიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც შეხმიანებიან და სიტყვიერადაც შეთანხმებულან. წინასწარი ინფორმაციით, იაპონელები მხოლოდ ორი ბერძენ-რომაელის ჩამოყვანას აპირებენ, ხოლო ამერიკელები უფრო ფართო შემადგენლობის სრულ სიას ახლო მომავალში გამოაგზავნიან.

ჯერჯერობით გაურკვეველია საპრიზო ფონდის საკითხიც. ბოლო წლებში ბალავაძე-კარტოზიას ჩემპიონ-პრიზიორები მედლებთან ერთად ფულად მოგებასაც ნახულობდნენ. ფინანსური წახალისების გარეშე არც მწვრთნელები რჩებოდნენ. წლეულს კი ტურნირს ალბათ შედარებით მცირე ბიუჯეტი ექნება. ის კი არა, ერთხანს მის ჩატარება-არჩატარებაზეც მიდიოდა საუბარი, სპორტის სასახლის რემონტისა და საორგანიზაციო ხარჯების ნაკრებისთვის მოხმარების გამო.

მომავალ შეჯიბრს ქართველი მოჭიდავეებისთვის დამატებითი დატვირთვაც ექნება. სწორედ „ქარიშხალას" დარბაზში უნდა გამოვლინდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელები. სეზონის უმთავრესი ტურნირი სექტემბრის ბოლოს ბაქოში გაიმართება და მისთვის შეიდშეიდ რჩეულს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის ნაკრებთა თავკაცები ბეგი დარჩია და ზაზა თურმანიძე შიდა კონკურენციის გადამოწმების შემდეგ დაასახელებენ. ამიტომ ხალიჩაზე ეროვნულის ყველა წევრი და კანდიდატი გავა.

ძიუდოისტებისგან განსხვავებით, მოჭიდავეებს სურვილის შემთხვევაში თითოეულ წონაში ოთხ კაცზე მეტის დაყენებაც შეუძლიათ. ამ საკითხს ორგანიზატორები განიხილავენ და, რაღა თქმა უნდა, ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე მიიღებენ გადაწყვეტილებას.

თურმანიძე და დარჩია შეგირდებს ივლისამდე თითო შეკრებას გაატარებენ. ძირითადი სამზადისი კი ნატურნირევს დაიწყება და მასში შეკრებების გარდა შეიძლება საერთაშორისო ტურნირებიც შეიტანონ.

**ოთარ მაღლაკელიძე**






ვახტანგ ნაცვლიშვილი გორდონ ჰერბერტმა ნაკრებში თამაშზე დაიყოლია

# გუნდური თამაში და რწმენა

**ეროვნული ნაკრების კაპიტანი ძველებურად მაღალ დონეზე ველარ თამაშობს, მაგრამ მისი ასაკისა და ფიზიკური მდგომარეობის კვალობაზე წუნს ვერავინ დასდებს. იყო დრო, ვახტანგ ნაცვლიშვილს პირადად გაუყვანია ნაკრები საკვალიფიკაციო ეტაპიდან, მაგრამ ეს 90-იან წლებში იყო, როცა მას ჯანი მოსდევდა და ტრავმები არ აწუხებდა. ვატომ რამდენიმე წლის წინ თითქმის უიმედოდ დაშავებული ფეხი მოირჩინა, მეორე ფეხი ახლაც საოპერაციო აქვს, მაგრამ თავისას მაინც აკეთებს — თანაც სადღაც კი არა, ევროპის უმაღლესი დონის, საფრანგეთის ჩემპიონატში. ნაცვლიშვილს „დიჟონთან" კონტრაქტი კი დაუმთავრდა, მაგრამ ამაზე მეტად მას ეროვნული გუნდის ბედ-იღბალი აწუხებს და იმედიანადაცაა განწყობილი. თუმცა იმის შანსიც, რომ ვატოს ნაკრებში აღარ ეთამაშა, მაგრამ...**

— გადაწყვეტილი მქონდა, სანაკრებო კარიერა დამესრულებინა, მაგრამ ეროვნული გუნდის თავკაცთან შეხვედრის შემდეგ აზრი შევიცვალე.

**— რა მიზეზით აპირებდი ნაკრებში თამაშზე უარის თქმას?**

— არ მინდა კონკრეტულ ფაქტებზე ლაპარაკი, მით უფრო, რომ დღეს არანაირი პრობლემა აღარ არსებობს. საფრანგეთში შევხვდი გორდონ ჰერბერტს, რომელიც ძალიან თბილად და კონსტრუქციულად მელაპარაკა. ამ საუბრის შემდეგ დავინახე, რომ ნაკრებისთვის მართლაც საჭირო ვარ.

**— შენ ნაკრების კაპიტანი ხარ და გუნდისთვის დიდი დახმარების გაწევა შეგიძლია როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა...**

— თავის დროზე ნაკრების ლიდერი ვიყავი, მაგრამ დრო გადის, წლები მემატება, თაობათა ცვლა კი ბუნებრივი პროცესია, რომელსაც ვერავინ შეეწინააღმდეგება. თუმც ვფიქრობ, ნაკრების დახმარება კიდევ შემიძლია, მით უფრო ახლა, როცა შემადგენლობასთან დაკავშირებით პრობლემები შეგვექმნა.

**— ერთი მანუჩარ მარკოიშვილია დაშავებული...**

— ეგ კი, მაგრამ ვლადიმერ ბოისას საკითხი ბოლომდე ჯერ არაა გარკვეული. ვოვას ტრავმა არ აწუხებს, მაგრამ მისი მეუღლე ბავშვს ელოდება და ბოისამაც გათავისუფლება ითხოვა. ის ალბათ არ იქნება პირველ საკვალიფიკაციო მატჩში, მერე კი, იმედია, შემოგვიერთდება. ის თავის გუნდში ამ სეზონში ცოტას თამაშობდა და შესაძლოა, ძველებურად მძლავრ ფორმაში არ იყოს.

**— სანაკრებო კარიერას თუ დაასრულებდი, კლუბშიც აღარ ითამაშებდი?**

— არ ვიცი, გააჩნია, რა მოხდებოდა. ისე, არც ახლაა გამორიცხული, რომ კლუბში აღარ ვითამაშო, თუმც ამის პერსპექტივა ძალიან მცირეა.

**— „დიჟონიდან" წამოხვედი?**

— არა, კონტრაქტი დამიმთავრდა და ახლა მენეჯერი ჩემი ტრანსფერითაა დაკავებული. არ ვიცი, შესაძლოა, „დიჟონშიც" დავრჩე, ან სხვა რომელიმე გუნდი მოვნახო.

**— ვარიანტები გაქვს?**

— ჯერჯერობით არა. საფრანგეთში ევროპელებს საქმე გაურთულდათ, რადგან იქ ამერიკელებზე ლიმიტი გაზარდეს. ადრე თუ ორს შეეძლო, ახლა 4 ამერიკელს შეუძლია განაცხადში ყოფნა. ამ კანონის მერე ფრანგული კლუბები ამერიკელებით გაივსო. ვინც იცოდა და ვინც არ იცოდა თამაში, ყველამ საფრანგეთს მიაშურა. თანაც ამერიკელები შედარებით დაბალანაზღაურებად გასამრჯელოსაც თანხმდებიან და კლუბებს უჯობთ, იაფად აიყვანონ ფეხმარდი და ჯანიანი ზანგები.

**— როგორ ფიქრობ, მოძებნი გუნდს?**

— ვფიქრობ, ყველაზე მეტი შანსია, ისევ „დიჟონში" დავრჩე. თუ ეს მოხდება, ერთ წელიწადს ვითამაშებ და კალათბურთიდან წავალ, არადა, სხვა გუნდთან ორწლიან ხელშეკრულებას გავაფორმებ, რისი ამოწურვის შემდეგაც კარიერას დავასრულებ. სიმართლე ვთქვა, ცუდი სეზონი არ მქონია. მართალია, ძველებურად ვერ ვთამაშობ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ 30 წელს გადავაბიჯე და მუხლი ახლაც საოპერაციო მაქვს, ვფიქრობ, ურიგო სეზონი არ გამომივიდა.

**— რომელი იყო ამ სეზონში შენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი?**

— ფიბა-ს თასზე შინ ვეთამაშებოდით ესპანურ „ხირონას", რომელიც ფაქტობრივად დავამარცხეთ, მაგრამ ბოლოს მსაჯმა გაუგონარი რამ მოიმოქმედა და ქულით წავაგეთ. ჩვენს მოთამაშეს ესპანელმა, საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვა, „პადკატი" გაუკეთა, მოჩეჩა და [illegible] ჯმა მერე თავი ასე [illegible] გაუცურდა და შემთხვევით წააქციაო. არადა, მარტო იყო ჩვენსას [illegible] ფართან და რომ ჩაეგდო, ვიგებდით. მე იმ მატჩში 17 ქულა და ათამდე მოხსნა მოვაგროვე, მაგრამ მსაჯმა ყველაფერი ჩაასხამა. რაც ყველაზე მესიამოვნა, პაუ გასოლის ძმას, მარკს, ხელი არ გავანძრევინე. მერე „ხირონამ" ის ტურნირი მოიგო, ჩვენ კი ჯგუფიდან ვერ გავედით.

**— ახლა რას აპირებ?**

— ჯერ ვისვენებ. ცოტა ხანში ვარჯიშს შევუდგები, მერე ნაკრებიც შეიკრიბება და საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მოვემზადებით.

**— როგორ ფიქრობ, ახლა მაინც თუ შევძლებთ A დივიზიონში გადასვლას?**

— რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევძლოთ. არ შეიძლება, ასეთი მაღალი დონის კლუბებში მოთამაშეთა ნაკრები ქვედა დივიზიონში იყოს. სათითაოდ რომ ავიღოთ, ფინეთის ნაკრები ახლოსაც ვერ მოვა ჩვენთან, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — ვერ ვიგებთ.

**— რისი ბრალია, რომ კარგი შემადგენლობით შედეგს ვერ ვაღწევთ?**

— მეც არ მაქვს ამ კითხვაზე პასუხი. ალბათ ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ საქართველო გვქვია და გუნდური თამაში ჩვენთვის ჯერაც უცხო ხილია. გინდაც საფეხბურთო ნაკრები ავიღოთ, იქაც უმაღლესი დონის კლუბებში მოთამაშეები არიან თავმოყრილნი, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ვფიქრობ, დრო გვჭირდება გუნდური თამაშის შესასწავლად. თუმც მაინც მჯერა, რომ A დივიზიონში ნებისმიერ ვარიანტში ავინაცვლებთ.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა




## სან ანტონიო 1:0 კლივლენდი

7 ივნისი. სან ანტონიო. 18 797 მაყურებელი

# კალია ქილაში

## ლებრონ ჯეიმსი როგორც ახტა, ისე დახტა



**სან ანტონიო 85:76 კლივლენდი**

*20:15 20:20 24:14 21:27*

სან ანტონიო: პარკერი (27), ფინლი (2), ბოუენი (6), დანკანი (24 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება), ობერტო; ჯინობილი (16), ელსონი (5), ჰორი (3), ვონი (2), ბერი

კლივლენდი: ჰიუზი (2), პავლოვიჩი (13), ჯეიმსი (14), გუდენი (14), ილგაუსკასი (2); გიბსონი (16), ვარეჟაო (10), მარშალი (5), სნოუ

ამქვეყნად არ არსებობს სპორტსმენი, რომელსაც ზედმეტი ქება რგებდეს. ლებრონ ჯეიმსი გამორჩეულად ნიჭიერი კალათბურთელია, 22 წლისა უკვე ნბა-ს ფინალშია, მაგრამ ზედმეტმა ყურადღებამ ეს ცივსისხლიანი ბიჭიც გააბრუა. მისგან ყველაფერს ელოდნენ, მან კი ვერაფერი ვერ გააკეთა. ონავარი ბავშვი დიდ კალიას ქილაში რომ ჩააგდებს, ისე აწყდებოდა ლებრონი მის გარშემო შემოვლებულ შუშის კედელს და თავისი ნიჭიერებისთვის გამოსავალს ვერაფრით პოულობდა.

გუშინ მეგობარმა მისაყვედურა: დილის 5-ზე გავიღვიძე, „იმედზე" მაგისთვის რომ მეყურებინა და ეგაა თქვენი ლებრონ ჯეიმსიო?! ვურჩიე, ორშაბათსაც გარისკე მაგ დროს გაღვიძება და ნამდვილ ლებრონს ალბათ მაშინ ნახავ-მეთქი. დარწმუნებული ვარ, მეორე ჯერზე გაცილებით უკეთესად ითამაშებს, რადგან შეუძლებელია, ეს ბიჭი გუშინდელზე უარესი იყოს.

თავისივე პოპულარობის წყნეხქვეშ მოქცეულმა ჯეიმსმა გუშინ აშკარად ჩააფლავა ფინალური დებიუტი. თითქოს ყველაფერი რიგიანად და რიხიანად დაიწყო მისთვისაც და მისი „კლივლენდისთვისაც". ჯეიმსის პასით დრიუ გუდენმა ფარქვეშიდან 2:2 გაათანაბრა, მაგრამ მერე მისი ნიჭიერება დამცველთა ხელების ტყეში ჩაიკარგა. პირველი მეოთხედის დამთავრებამდე 1:12 წუთი რჩებოდა, ლებრონმა წყვილი საჯარიმოთი პირველი ქულები რომ ჩაიწერა, მეორეს დამთავრებამდე 1:47 წუთით ადრე კიდევ ორი ჩააგდო, მანამდე კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ფრჩხილების კვნეტით შესქეროდა, როგორ ცდილობდნენ ულიდეროდ დარჩენილი მისი თანაგუნდელები ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

ამასობაში კი, სანამ ფინალების დებიუტანტი „კლივლენდი" და მისი ნორჩი ყოჩი საკუთარი თამაშის პოვნას ცდილობდნენ, მეოთხე ჩემპიონობაზე გაწეულმა „სან ანტონიომ" თავისი საქმე აკეთა და ისე დამაჯერებლად იმარჯვა, გეგონება, ფინალში კი არა, რეგულარული ჩემპიონატის რიგით მატჩში ბურთაობსო. „დეზებმა" იდეალურად შეასრულეს გრეგ პოპოვიჩის მითითებები, განსაკუთრებით დაცვაში — ჯეიმსს მაქსიმალურად შეუზღუდეს სივრცე. სულ ცოტა, უახლოესი 4 თამაშის განმავლობაში ლებრონის „პირად მცველად" გამწესებულ ბრიუს ბოუენს არ დასჭირვებია უხეშობის და ბინძური თამაშის გაკვეთილის ჩატარება.

სანანტონიოელი „მაჯლაჯუნა" მის წინ დგომითაც კმაყოფილდებოდა, ხოლო როცა ჯეიმსი ფარისკენ თავის საფირმო გარღვევას იწყებდა, მას ბოუენთან ერთად კიდევ ერთი კაცი მიაცილებდა და კლივლენდელი ვარსკვლავბიჭუნა შეტევას, როგორც წესი, სადღაც ტიმ დანკანის იღლიის ქვეშ უმწეო პოზაში გაკვანძული ამთავრებდა.

ტიმ დანკანი! აი, ვინაა მართლა ცივსისხლიანი. „სფურზის" ლიდერს და გუნდის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეს თითქოს განსაკუთრებული არაფერი უკეთებია, არ უფრენია და ბურთები არ უტენია, მაგრამ მისმა პრაქტიკულმა და ამავე დროს სიმარტივემდე დასულმა იდეალურმა თამაშმა „სან ანტონიოს" ეს მატჩი მოაგებინა. „კლივლენდი" კარგად იცავდა თავს, მაგრამ დანკანისა და ტონი პარკერის წინააღმდეგ „კავალერიას" იარაღი არ აღმოაჩნდა.

და საზოგადოდ: სანანტონიოელებს ეტყობოდათ, საქმეს ცოდნით რომ აკეთებდნენ, თითქოს განუწყვეტლივ გრძნობდნენ გამოუცდელ მეტოქეზე უპირატესობას. „კლივლენდის" ახალბედა სნაიპერმა დანიელ გიბსონმა პირველ მეოთხედში თავისი პირველი სამქულიანი რომ დააქუხა, ერთი წუთის შემდეგ გარღვევაზე წასულმა მანუ ჯინობილიმ მას ფეხებშუა გაუტარა ბურთი და თითქოს ამით აგრძნობინა, ძალიანაც ნუ გაიქაჩებიო. პირველი მეოთხედის 15:20 წაგების შემდეგ „კლივლენდმა" ლებრონ ჯეიმსის გარეშე გაიბრძოლა, მეორეს საწყისი მონაკვეთი 8:2 მოიგო და 23:22 დაწინაურდა. ამაზე კი პასუხად პოპოვიჩის ტაიმ-აუტი და შემდეგ საკუთარ კალათში 9 უპასუხო ქულა მიიღო. ანაც მესამე მეოთხედში: ლებრონმა პირველი რვა ტყორცნის გაფუჭების შემდეგ ბოლოს და ბოლოს თამაშიდან ჩააგდო, რაზეც მეტოქეთაგან გუნდური ბურთაობის გაკვეთილი მიიღო. „სან ანტონიო" 11 ქულით გაიქცა, მეოთხედის ბოლოს კი 15 ქულითაც დაწინაურდა.

მოკლედ, „კლივლენდის" მწვრთნელმა მაიკ ბრაუნმა რამე უნდა მოიფიქროს, ჯეიმსმა კი რამე გააკეთოს, თორემ დანარჩენ კლივლენდელთა საშუალო თამაში „სან ანტონიოს" ორ მეოთხედადაც არ ეყოფა. ლებრონმა მაინც მოახერხა და მთელ მატჩში ერთხელ მაინც დაემსგავსა საკუთარ თავს, როცა ბოლო მეოთხედში ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო. ამით გუნდს ვერ უშველა, მაგრამ ეს მას თავად სჭირდებოდა იმ თავდაჯერების დასაბრუნებლად, რომელიც სანანტონიოელებმა მას ისე წაართვეს, როგორც დიდი ბიჭებიართმევენ პატარებს ბურთსაც და მოედანსაც.

**კოტე ყორშია**





## გეორ და გიამ ათიანში გაარტყეს

**ზაგრებში** დასრულებულ პლაჟის ფრენბურთის მსოფლიო ტურზე ქართულპასპორტიანმა ბრაზილიელებმა რენატომ და ჟორჟიმ, იგივე გეორ და გიამ მეოთხედფინალში ჰოლანდიელებთან, ნუმერდორთან და შულცთან 1:2 წააგეს. ამით ჩვენებისთვის ტურნირი დასრულდა, რაკი იქამდე ძირითად ბადეში ერთი წაგების უფლება განიავებული ჰქონდათ.

საბოლოოდ გეორ და გიამ შეჯიბრი მეათე-მეთორთხმეტე ადგილებზე დაასრულეს, თუმც, თქმა არ უნდა, წლეულს წარმატებული სეზონი აქვთ და მსოფლიო რეიტინგში მათთვის საუკეთესო, მე-10 ადგილი უკავიათ.



## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

ელისტა. რუსეთი. 26 მაისი – 14 ივნისი. მეორე ეტაპი

**II ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | (0,5:1,5) | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | (0,5:1,5) | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 | (1:1) | გატა კამსკი (აშშ) |
| სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | (0,5:1,5) | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |




## ლოგიკური ტური

**ელისტაში** ჯერჯერობით ყველაფერი ლოგიკურად მიდის. პირველ ტურში ფავორიტებმა თეთრი ფიგურებით მოიგეს, მეორეში კი შავებით ყაიმები ითამაშეს და მეტოქეებს კვლავაც ერთი ქულით ჯობნიან.

მეორე ტურში ყველაზე ადრე პეტერ ლეკოსა და ევგენი ბარეევის პარტია დასრულდა. რუსმა უნგრელთან შეხვედრა სლავური დებიუტით დაიწყო, თუმც ღირებული ვერაფერი შექმნა და მეტოქეს საკმაოდ მალე, მე-15 სვლაზე დაუზავდა.

ყველაზე დიდხანს კი ბორის გელფანდისა და გატა კამსკის პარტიამ გასტანა. მეტოქეებმა სლავური დაცვა გაითამაშეს, ცენტრში პაიკები გამოყარეს და უკან მცველებად მხედრები ამოუყენეს. ამერიკელმა ხელმწიფის მხრიდან მსუბუქი ფიგურებით შეუტია, რამდენიმე მეომარი გაცვალა და მძიმე ძალები ლაზიერის ფლანგზე გადასხა. თანდათან გელფანდიც გააქტიურდა, 29-ე სვლაზე f ხაზზე ორივე ეტლი ლაზიერთან ერთად გაამაგრა და კამსკის არმიას დაემუქრა. ამერიკელმა მტერს დიდი ძალები დაახვედრა, ყველა ფიგურა გაუცვალა და 51-ე სვლაზე ყაიმი გაფორმდა.

**ლაშა გეგეჭკორი**



# სალაღობო და უფასო

## ქართული შვიდკაცა საჩემპიონოდაა შემართული

დღეს „მიხეილ მესხზე“ სალაღობო და სანახაობრივი რაგბი გაიმართება. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საფრანგეთია ჩვენი ნაკრების მთავარი კონკურენტი. ტურნირი საერთაშორისოა და მასში ათი გუნდი მონაწილეობს. თბილისის შვიდკაცასთან დაკავშირებით, რაგბის კავშირმა კაფე „მსოფლიო სპორტში“ პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხეს: კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი ხუციშვილმა, შვიდკაცას ტურნირის დირექტორმა პიერ ვილიპრემ, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მამუკა ტყეშელაშვილმა, სპორტისა და ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა და ნაკრების კაპიტანმა გიორგი კაჭარავამ

— რამდენად მზადაა საქართველოს ნაკრები „თბილისის შვიდკაცაზე“ წარმატების მისაღწევად?

*მამუკა ტყეშელაშვილი:* თბილისის შვიდკაცამდე საქართველოს ნაკრებმა სამ პრესტიჟულ ტურნირში ითამაშა. პოლონეთში ფინალში წავაგეთ საფრანგეთთან. მიუხედავად არასახარბიელო შედეგისა, ლონდონშიც ნორმალურად ვითამაშეთ, ხოლო ედინბურგში, ახალ ზელანდიასთან, არგენტინასთან და ინგლისთან მოგვიწია თამაში. იქაც მხოლოდ მეთერთმეტე ადგილს დავჯერდით. ვფიქრობ, ეს სამი ტურნირი სასიკეთოდ წაადგა ჩვენს ნაკრებს, გუნდმა დიდი გამოცდილება მიიღო. მაქსიმალურად მოვახერხეთ შეთამაშებაც. ეს ფაქტორები მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ნებისმიერი გუნდური სათამაშო სახეობისთვის. ნაკრებს ტრავმის გამო გამოაკლდა უგამოცდილესი ვასილ კაცაძე, აგრეთვე მთავარ ნაკრებს შეუერთდა ბესიკ ხამაშურიძეც, მაგრამ გიორგი კაჭარავამ გუნდი შეკრა და წარმატების იმედი მაქვს.

— წლეულს რატომღაც გუნდები შემადგენლობების სიძლიერით არ გამოირჩევიან...

*პიერ ვილიპრე:* მე არ ვთვლი, რომ ასეა საქმე. ჩვენ გვსურს, სუსტი გუნდები მაქსიმალურად კარგად მოემზადონ. ყველაფერს ვაკეთებთ ევროპაში როგორც კაცთა, ასევე ქალთა რაგბის განვითარებისთვის. გვინდა, რაგბი ოლიმპიურ სახეობად ვაქციოთ. ვფიქრობ, ამ საქმეს პოლიტიკურ დონეზე ჩარევა დასჭირდება, საჭიროა რეკლამა და რაგბის მასობრივი პოპულარიზაცია განვითარებად ქვეყნებში. ვუყურე უკრაინისა და მოლდოვის თამაშებს, ისინი თბილისის ტურნირზე საქართველოს და საფრანგეთს კონკრენციას გაუწევენ.

— რას ფიქრობთ რაგბის, როგორც სპორტის აუცილებელი სახეობის სკოლაში დანერგვაზე?

*დავით ნამგალაური:* სპორტისა და ახალგაზრდული დეპარტამენტის სახელით მივესალმები ამ ინიციატივას, მაგრამ ჩვენთვის პრიორიტეტს მსოფლიოს თასი და მისთვის მზადება წარმოადგენს, რაშიც სახელმწიფომ უკვე მიიღო მონაწილეობა. გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები. მილიონ ორასი ათასი ლარი გამოიყო საქართველოს ნაკრების მსოფლიო თასზე მომზადება-გამზგავრებისთვის. ვფიქრობ, მსოფლიოს თასის მერე საქართველოში შეიცვლება შეხედულება, ზოგადად, რაგბის მიმართ და თქვენი ინიციატივაც სკოლებში მომძლავრებული ძალადობის ფონზე სავსებით განხორციელებადია.

— როგორ მოგეწონათ ახალბედების თამაში წინა ტურნირზე?

*გიორგი კაჭარავა:* ფასდაუდებელი გამოცდილება მივიღეთ, შევთამაშით და ედინბურგში შედეგიც ვაჩვენეთ. ახალბედები კი ნორმალურად თამაშობენ, თბილისის შვიდკაცაზე, ვფიქრობთ, ჩემპიონები გავხდებით.

აქვე დავძენთ, რომ თბილისის შვიდკაცას. მონაწილე გუნდები რეიტინგის მიხედვით ორ, A და B ქვეჯგუფებად გადანაწილდნენ. ტურნირი 9 ივნისს დაიწყება, ფინალური მატჩი კი „მიხეილ მესხზე“ 10 ივნისს, 19 საათზე გაიმართება. მნიშვნელოვანია ის, რომ წლევანდელი შვიდკაცა თბილისის მერიის მხარდაჭერით წარიმართება და ამ სარაგბო ზეიმზე მაყურებლებისთვის დასწრება უფასო იქნება.

საქართველოს შვიდკაცა ნაკრები: *ვახტანგ აბჟანდაძე, დავით ქამუტაშვილი, გიორგი კაჭარავა, ალექსანდრე ნიჟარაძე, ალექსანდრე თოდუა, ირაკლი გეგენავა, დავით ჩიტაძე, ბექა სარდანაშვილი, ლაშა ფიფილაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე.*

**ზურაბ მიბრიაული**

### თბილისის შვიდკაცა

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| საფრანგეთი | საქართველო |
| უკრაინა | მოლდოვა |
| ბელგია | ლატვია |
| აზერბაიჯანი | ისრაელი |
| ბულგარეთი | საბერძნეთი |

### ჯგუფური ეტაპი

9 ივნისი. შაბათი

| | |
|---|---|
| 10.00 | ბულგარეთი — საფრანგეთი |
| 10.20 | საბერძნეთი — საქართველო |
| 10.40 | უკრაინა — ბელგია |
| 11.00 | მოლდოვა — ლატვია |
| 11.20 | საფრანგეთი — აზერბაიჯანი |
| 11.40 | საქართველო — ისრაელი |
| 12.00 | უკრაინა — ბულგარეთი |
| 12.20 | მოლდოვა — საბერძნეთი |
| 13.00 | ტურნირის გახსნა |
| 17.00 | ბელგია — აზერბაიჯანი |
| 17.20 | ლატვია — ისრაელი |
| 17.40 | საფრანგეთი — უკრაინა |
| 18.00 | საქართველო— მოლდოვა |
| 18.20 | ბელგია — ბულგარეთი |
| 18.40 | ლატვია — საბერძნეთი |
| 19.00 | უკრაინა — აზერბაიჯანი |
| 19.20 | მოლდოვა — ისრაელი |
| 19.40 | ამხანაგური მატჩი შვიდქალა რაგბიში საქართველო — აზერბაიჯანი |

10 ივნისი. კვირა

| | |
|---|---|
| 10.00 | საფრანგეთი — ბელგია |
| 10.20 | საქართველო — ლატვია |
| 10.40 | აზერბაიჯანი — ბულგარეთი |
| 11.00 | ისრაელი — საბერძნეთი |
| 11.30 | ამხანაგური მატჩი შვიდქალა რაგბიში საქართველო — აზერბაიჯანი |
| 16.15 | პლეი ოფები |
| | მე-5-8-ე ადგილისთვის |
| 16.55 | თასის ნახევარფინალები |
| 18.05 | მე-7 ადგილისთვის |
| 18.20 | მე-5 ადგილისთვის |
| 18.55 | მე-3 ადგილისთვის |
| 19.15 | თასის ფინალი |



# დედოფალს ეროვნულზე ურო ჩამოართვეს

**საქართველოს** მძლეოსანთა ჩემპიონატს მეორედ მასპინძლობს განახლებული ეროვნული სტადიონი, სადაც შეჯიბრი გუშინ დაიწყო და დღეს დასრულდება.

„სპორტის დედოფლის“ წლევანდელი ამქარი, ისევე როგორც შარშან, საკმაოდ წარმომადგენლობითია. მისი მონაწილეები სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი. პირველ ჯგუფში თბილისელებთან ერთად გამოდიან ბათუმის, ფოთის, ზუგდიდის, ახალციხის, ბორჯომის, ქუთაისის, ახმეტისა და გარდაბნის გუნდები, ხოლო მეორეში არიან ოზურგეთის, მარტვილის, ლაგოდეხის, თიანეთის, გორის, წყალტუბოს, ჭიათურისა და ასპინძის მძლეოსნები.

ჩემპიონატში ელოდნენ ყვარელისა და საგარეჯოს გუნდებსაც, მაგრამ ისინი რატომღაც საასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ, სამაგიეროდ, თბილისში თავი მოიყარა თითქმის ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა, მათ შორის, დავით ილარიანმა და იულია დუბინამ, რომლებიც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამოდიოდნენ.

ერთადერთი ოლიმპიელი, ვინც ჩემპიონატმა მოისაკლისა, მარიამ ქევხიშვილი გახლავთ, თუმც მიზეზი აქვს, რადგან შარშან ამერიკაში განაგრძო სწავლა და იქვე ვარჯიშობს. ეტყობა, იგი კარგი მწვრთნელების ხელში მონდომებითაც ემზადება, რადგან ამ ბოლო დროს ფლორიდაში უკვე სამი შეჯიბრება მოიგო, დღეს კი პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის საკვალიფიკაციო ასპარეზობაშიც გამოვა.

ასეა თუ ისე, ჩვენს ეროვნულ სტადიონზე შეკრებილი მძლეოსნები სრული პროგრამით ასპარეზობენ.

სამწუხაროდ, აქ ჯერ ვერ მოხერხდა უროს სატყორცნი სექტორის მოწყობა, რის გამოც ამ დისციპლინაში შეჯიბრება საავიაციო ქარხნის სპორტულ სარბიელზე გაიმართა, უძლიერესის სახელი კი თბილისელმა ლერი წიტაიშვილმა მოიპოვა (62, 80).

**ავთანდილ ჭყვიშელი**



ახალციხელმა გიგლა ზილბერშტეინმა (№71) 1500 მეტრზე სირბილი უმძაფრეს ბრძოლაში მოიგო

# აზიის ჩემპიონატს ბეირუთს წყალი შეუდგა

**მძლეოსანთა** აზიის ჩემპიონატი, რომელიც ბეირუთში 29 ივლისიდან 2 აგვისტომდე უნდა გამართულიყო, ლიბანის დედაქალაქში აღარ ჩატარდება, რადგან ამ ქვეყანაში აგერ უკვე შვიდი თვეა, რაც პოლიტიკური კრიზისი არ ცხრება. ამიტომაც ადგილობრივი მთავრობა სპორტსმენთა უსაფრთხოების გარანტიას ვეღარ იძლევა.

ოფიციალურ პირთა თქმით, ახლა აზიის ჩემპიონატის მისაღებად სასწრაფოდ ახალი მასპინძლის პოვნას ცდილობენ, რათა ეს შეჯიბრება 25 აგვისტოს ოსაკაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მოასწრონ.

საქართველოს რაგბის კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
თბილისის „ლელოს“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მორაგბე
**ოთარ ხუნდაძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

# როლან გაროსი 2007

## პარიზი. 27 მაისი — 10 ივნისი. საპრიზო 13 422 080 €





# სხვა არავინ

## ისევ ფედერერი და ისევ ნადალი

8 ივნისი

**კაცები**

**ნახევარფინალი**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 7:5 7:6 7:6

**რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (6, სერბეთი) 7:5 6:4 6:2

**ასრულდა** ის, რასაც ჩოგბურთის გულშემატკივართა უდიდესი უმრავლესობა ჯერაც „როლან გაროსის" დაწყებამდე ნატრობდა — კვირას უკვე კლასიკად ქცეულ როჯერ ფედერერ-რაფაელ ნადალის დაპირისპირების მოწმენი გავხდებით. გასული ორი კვირის განმავლობაში თანამედროვე ჩოგბურთის უდავო პირველ-მეორე ნომრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათი დარი დღეს არავინ მოიძებნება — ერთმაც და მეორემაც ფინალამდე მანძილი ისე გაიფრინეს, არავინ გამოჩენილა, რომელიც ილუზიას მაინც შექმნიდა, რომ მათი დამარცხება შეიძლება. ერთადერთი ტომი რობრედო იყო, რომელმაც სეტი აართვა ფედერერს და სულ ეგ არის — ნადალს ვერც ამდენი შეჰბედეს.

ასე რომ, მორიგი და მაგარი ჯახის მოლოდინში მთელი საჩოგბურთო სამყარო გაინაბა — მაინც რა უფრო გადაწონის, "დიდი სლემის" შეგროვების უდიდესი სურვილი თუ "როლან გაროსული" ჰეთ თრიქი? მოკლედ, ფედერერი თუ ნადალი?

გუშინ ჯერ კიდევ იყვნენ ისეთები, ვ.ს გულშიც კიაფობდა იმის იმედი, რომ იქნებ ვინმეს, თუ ვერ შეაჩერებდა, ოდნაც მაინც აანერვიულებდა ამ მონსტრებს. არც ნიკოლაი დავიდენკო და არც ნოვაკ ჯოკოვიჩი დანებებას არ აპირებდნენ, მეტიც, ნამდვილ ომს ჰპირდებოდნენ შვეიცარიელსა და ესპანელს. მაგრამ არა. ამ ორის მჯობნი დღეს მართლა არავინ მოიძებნება, მჯობნის მჯობნი კი თვით ამ დუეტში უნდა ვეძიოთ.

ისე არ გაიგოთ, თითქოს დავიდენკოსა და ჯოკოვიჩს არ უომიათ — იომეს და თანაც როგორ, ყველაფერი ჩადეს ამ შეხვედრებში და სულ ცოტა დააკლდათ, რომ ფედერერ-ნადალისთვის სერიოზული პრობლემები შეექმნათ, მაგრამ სწორედ ეს "სულ ცოტა" არის, რაც დიად შვეიცარიელსა და ესპანელ ჯადო ბიჭს დანარჩენისგან განასხვავებს. "სულ ცოტაა", მაგრამ სინამდვილეში ეს ის ყველაფერია, რაც განაპირობებს ფედერერ-ნადალის სიდიდეს.

მიზანთან ახლოს უფრო დავიდენკო იყო, რომელმაც მაგრად აწვალა "მხიარული როჯერი". შვეიცარიელმა საკმაოდ უფერულად ითამაშა და წესით რუსს ერთი სეტი მაინც უნდა მოეგო — მით უმეტეს, რომ სამივე პარტიაში თავიდან ყველაფერს სწორედ რუსი აკონტროლებდა. კოლია გააკეთებდა სეტის დასაწყისში ბრეიკს, ამ უპირატესობას კარგა ხანს ინარჩუნებდა, მაგრამ შემდეგ ისევ ეს "სულ ცოტა" აკლდებოდა — პარტიის წაგების საფრთხის წინაშე დამდგარი ფედერერი მალალ სიჩქარეს რთავდა და ყველაფერს სათავისოდ ამთავრებდა.

„ძალიან თანაბარი მატჩი იყო. აქ შეიძლებოდა სამ სეტშიც წამეგო, მაგრამ გამიმართლა და ისე მოვიგე, რომ ზედმეტი პარტიების თამაში არ მომიწია" — სამართლიანი იყო ნამატჩევს ფედერერი.

აი, ნადალს კი უფრო გაუადვილდა თავისი ნახევარფინალის მოგება. ესპანელი, ფედერერისგან განსხვავებით, მთელი შეხვედრა წინ იყო და ჯოკოვიჩი მხოლოდ იმას ახერხებდა, რომ ხანდახან წამოეწეოდა ხოლმე. თუმც "გრუნტის მეფემ" ზედიზედ მესამე საროლანგაროსო ფინალისკენ გზა, მთლიანობაში, ძალიან დამაჯერებლად გაიკაფა.

**კახა ლომჯავილი**

# პუერტა ბრუნდება



**ორწლიანი** დისკვალიფიკაციის შემდეგ კორტს დაუბრუნდა „როლან გაროსის" 2005 წლის ფინალისტი მარიანო პუერტა. შეგახსენებთ, რომ არგენტინელი დოპინგის მოხმარებისთვის ჩამოაშორეს ჩოგბურთს. სხვათა შორის, ორი წლის წინ, სწორედ რაფაელ ნადალთან წაგებული ფინალის შემდეგ აუღეს პუერტას სისხლი რომელშიც აკრძალული პრეპარატი ეტილეფრინი აღმოჩნდა. მაშინ პირველადი განაჩენით პატაგონიელს რვა წლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რადგანაც ის მეორედ ჩავარდა დოპინგზე. თუმც გამოძიების პროცესში გამოჩენილი შემამსუბუქებელი გარემოებების გამო სასჯელის ვადა ორ წლამდე შეამცირეს.

ჰოდა, ეს ორი წელი მიილია თუ არა, პუერტა კორტზე გამოჩნდა. მარიანო დიდ ტურნირებს ჯერ კარგა ხანს ვერ დაუბრუნდება, რადგანაც საჭირო სარეიტინგო ქულების დაგროვება დასჭირდება და „ჩელენჯერებზე" წოდებულ პატარა შეჯიბრებებზე მოუწევს თამაში.

მოკლედ, პუერტამ იტალიურ მოდენაში დაწყებული „ჩელენჯერის" ორგანიზატორებისგან მიწვევა მიიღო და პირველი თამაშის მოგება უკვე მოასწრო. არგენტინელმა ავსტრალიელი ჯოზეფ სირიანი დაამარცხა. პუერტას მორიგი მეტოქე ესპანელი მარკ ლოპესი იქნება.

# პავლიუჩენკოვა დიდ სლემს უმიზნებს

**ჩოგბურთის** ამომავალი ვარსკვლავი და იუნიორთა შორის უდავოდ საუკეთესო მეჩოგნე, 17 წლის ანასტასია პავლიუჩენკოვა წლეულს გოგონათა „დიდი სლემის" შეგროვებას უმიზნებს.

მიზანი მეტად ამბიციურია და სხვას ამისთვის ალბათ საქვეყნოდ დასცინებდნენ კიდეც, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ძლიერად თამაშობს თინეიჯერი რუსი და რა შესაშური სტაბილურობით იგებს „სლემტურნირებს", მისგან წლეულს ყველაფერს უნდა ველოდეთ. მით უმეტეს, რომ პავლიუჩენკოვას საქმე სანახევროდ უკვე მოლეული აქვს — ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო და აგერ, იუნიორული „როლან გაროსის" ფინალშიც გავიდა, სადაც ამერიკელ მედისონ ბრენგლს ხვდება და აშკარად ფავორიტად ითვლება.

„წლეულს თავიდანვე გადავწყვიტე, რომ იუნიორთა დონეზე „დიდი სლემის" შეგროვებისთვის ვიბრძოლებდი. ეს ჩემი მიზანია — ამის ასრულებას კი პარიზში გამრჯვება სჭირდება, რასაც, იმედია, მოვახერხებ" — განაცხადა პავლიუჩენკოვამ.

# შარაპოვა მაინც კმაყოფილია



**ნახევარფინალში** ანა ივანოვიჩთან განადგურების მიუხედავად, მარია შარაპოვა მაინც კმაყოფილია თავისი წლევანდელი პარიზობით. პრინციპში ეს გასაკვირი არც არის, რადგანაც რუსი პრიმა თიხნარის ცნობილი მოძულეა და ამ საფარზე ხშირად თამაშს ერიდება ხოლმე, მაგრამ წლეულს პარიზში ყველა მოლოდინს გადააჭარბა და პირველად უწია საფარნგეთის ღია პირველობის ნახევარფინალს.

„ივანოვიჩთან კი წავაგე; მაგრამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ნაჩვენები თამაშით მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ. მით უმეტეს, რომ ტრავმის გამო ორი თვე გამიცდა და არცთუ სახარბიელო ფორმაში ვიყავი — არც ველოდი, ამდენს თუ შევძლებდი" — განუცხადა შარაპოვამ ჟურნალისტებს.

მაშა ოპტიმისტურად არის განწყობილი, რადგანაც ტრავმა ნაკლებად ახსენებს თავს და თან ახლა სეზონის მისთვის საყვარელი ნაწილი იწყება:

„სეზონის ეს ნაწილი მიყვარს — ამიერიდან მხოლოდ ბალახზე და ჰარდზე მომიწევს თამაში, რაც მაგრად მახარებს. ასე რომ, მოუთმენლად ველი დამდეგ ტურნირებს.

# ბედნიერი ენინი და კრიტიკული იანკოვიჩი



ელენა იანკოვიჩი

**ელენა იანკოვიჩის** დამარცხების შემდეგ ჟუსტინ ენინი მეოთხედ გავიდა „როლან გაროსის" ფინალში. აქამდე ჭინკა ბელგიელს პარიზში გადამწვეტი მატჩი არ წაუგია და ახლაც სამართლიანად უმიზნებს მეოთხე ტიტულს. მით უმეტეს, რომ ნახევარფინალში ბენელუქსელმა ლამის იდეალური თამაში აჩვენა და ფინალის წინ უპირობო ფავორიტადაც მიიჩნევა.

„გაცილებით რთულ შეხვედრას ველოდი, მაგრამ ყველაფერი იოლად გამოვიდა. თავიდანვე მინდოდა, აგრესიულად მეთამაშა. ვფიქრობ, გადამწყვეტი მომენტი პირველი სეტის მიწურულს იყო, როცა 5:2 დავწინაურდი. აქ იანკოვიჩი აშკარად ანერვიულდა, კონცენტრაცია დაკარგა და შეცდომებსაც უმატა. თუმც ამას ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს — ფინალში გასვლით ბედნიერი ვარ" — კმაყოფილი იყო ენინი.

იანკოვიჩი კი იმედგაცრუებას ვერ მალავდა, მაგრამ მეტოქის სიძლიერეს საკადრისი პატივი მიაგო:

„არ იყო ჩემი დღე. ვერც ჩემი თამაში ვიპოვე და რიტმიც ვერ დავიჭირე. იმედგაცრუებული ვარ, ასე უკბილოდ რომ წავაგე, მაგრამ ჟუსტინი დღეს აშკარად უფრო ძლიერი იყო — მან იდეალურად ითამაშა".

**კახა ლომჯავილი**

# რუმინული წერტილი

**ქართველი** ჩოგბურთელის სალომე ჩაჩხუნაშვილის წარმატებულ სვლას რუმინული პიშტეშტის თიხის კორტებზე მე-6 ნომრად განთესილმა მასპინძელმა ალექსანდრა კადანტუმ დაუსვა წერტილი.

კვალიფიკაციიდან დაწყებული, სალომემ ზედიზედ სამი მეტოქე დაჯაბნა, მაგრამ ძირითადი ტურნირის მეორე წრეში მე-6 ნომრად განთესილ კადანტუსთან, ვისაც WTA-ს რეიტინგში 603-ე ადგილი უკავია, ველარაფერს გახდა და უიმედოდ — 0:6 1:6 დამარცხდა.

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი



AFP მონრეალიდან

გუშინ პირველ ვარჯიშზე საუკეთესო დრო ფერნანდო ალონსომ აჩვენა

# ალონსომ ამერიკა ფერარის დაუთმო

## ვილნევმა ჰემილტონს სტარტი დაუწუნა

**ხვალ** მონრეალში ლეგენდარული კანადელი მეფორმულის ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომზე ჩემპიონატის მეექვსე რბოლა ჩატარდება.

ბრიტანელი ბუქმეიკერები ფავორიტად წინა, მონაკოური ეტაპის ჰეთთრიქიანი ტრიუმფით მომგებ ფერნანდო ალონსოს თვლიან. „მაკლარენის“ ესპანელი პილოტის კოეფიციენტი 2,75-ია. ფერარელების — ფელიპე მასასა და კიმი რაიკონენის შანსები საგრძნობლად ნაკლებია — 3,75.

თავად ფერნანდო კი სწორედ სკუდერიელებს მიიჩნევს მომავალი ორი ჩრდილოამერიკული ეტაპის ფავორიტად, ჩვენ კანადასა და ამერიკაში გაგვიჭირდება გამარჯვება, რადგან იქაურ ტრეკებზე ტრადიციულად „ფერარის“ ბოლიდებს აქვთ უპირატესობა: „მუდამ ვამბობდი, რომ „მაკლარენისა“ და პირადად ჩემი პოტენციალიც უკეთესად გაიხსნება სეზონის მეორე ნახევარში, როცა საფუძვლიანად შევეჩვევი მანქანას. ჩვენ საკმაოდ სწრაფები ვიყავით პირველ ხუთ რბოლაში, ხოლო სეზონის დასკვნით ხუთ-ექვს ეტაპზე საერთოდ შეუჩერებლები ვიქნებით, მით უმეტეს, რომ გუნდი მანქანის კონსტრუქციაში მნიშვნელოვან ცვლილებებს ამზადებს. რაც შეეხება „ფერარის“, მათ ორი უახლოესი რბოლის ფავორიტებად ვთვლი, მიუხედავად იმისა, რომ, წინა წლებისგან განსხვავებით, ერთნაირი საბურავები გვაქვს. განსაკუთრებით ძლიერად გამოდიან ისინი ინდიანაპოლისში, ის ტრასა თითქოს სპეციალურადაა აგებული, რათა მაქსიმალურად მომგებიანად წარმოაჩინოს „ფერარის“ მახასიათებლები. მაგრამ იმედია, აშშ-ის გრან პრის შემდეგ მათ უპირატესობა აღარ ექნებათ.“

ისე, მასაც დარწმუნებულია, რომ „ფერარი“ წარმატებით გამოვა ოკეანისგაღმა: „მონრეალის ტრასაზე კარგ მოჭიდულობასთან ერთად, ასეთივე აეროდინამიკაცაა საჭირო. ვფიქრობ იმ აეროდინამიკით, რომელიც კანადისა და აშშ-ის ეტაპებისთვის მოვამზადეთ, ძალიან კარგი შანსი გვაქვს. ეს ახალი ძრავისთვის მეორე გრან პრი იქნება. ვთვლი, რომ ის ძლიერი და საიმედო აგრეგატია, ამასთან, მონაკოში ძალიან არ ყოფილა დატვირთული. ლიდერებს — ალონსოსა და ლუის ჰემილტონს მხოლოდ ხუთი ქულით ჩამოვრჩები, წინ კი 12 ეტაპია. ასე რომ, ეს ჩამორჩენა მინიმალურად შეიძლება ჩაითვალოს და სატიტულო შანსიც მაქვს.“

ფელიპეს თანაფერარელი კიმი რაიკონენი კი ნამდვილად ვერ ამართლებს იტალიელ ბოსთა იმედებს. მას მასაზე ათი ქულით ნაკლები აქვს და თითქმის უკვე ჩამოშორდა საჩემპიონო ბრძოლას, თუმც იმედს მაინც არ კარგავს: „ცხრილში მეოთხე ადგილზე ვარ, ლიდერებზე 15 ქულით უკან, მაგრამ ჩამორჩენა არც ისე დიდია და ჩემი პოზიციაც არცთუ საშიშია. 15 ქულას სეზონის ბოლომდე ორი რბოლით ადრე რომ ვაგებდე, ჩემთვის ჩემპიონატი დასრულებული იქნებოდა. წინ კიდევ ბევრი ეტაპია და საკმარისია ორიოდე წარმატებული რბოლა ჩვენთვის და მეტოქეების ერთი-ორი ჩავარდნა, რომ ვითარება კარდინალურად შეიცვალოს. ყველაფერს ვილონებ, რათა რაც შეიძლება ბევრი რბოლა მოვიგო და სეზონის ბოლოს ვნახოთ, სად აღმოვჩნდები.“

წლევანდელი პილოტებიდან მონრეალში თითოჯერ გაუმარჯვიათ რაიკონენს, ალონსოსა და რალფ შუმახერს. „ფერარიმ“ იქ ბოლო ხუთი რბოლიდან სამი მოიგო, ხოლო ინდიანაპოლისში — ექვსიდან ხუთი.

მართალია, ლეგენდარული მამის სახელობის ტრასაზე ამჯერად არ გაიჯიბრებს კანადელ ქომაგთა კერპი ჟაკ ვილნევი, თუმც „ჟილ ვილნევზე“ ხვალ მაინც ანშლაგს ელიან. ყველა, 120 ათასი ბილეთი უკვე ოთხშაბათს გაყიდული იყო.

ჟაკს არ მოსწონს ჩემპიონატის თანალიდერის, 22 წლის დებიუტანტ ჰემილტონის მანევრები რბოლების სტარტზე და პრესაში გააკრიტიკა კიდეც: „მიკვირს, რატომ არ რეაგირებს ავტოფედერაცია სტარტისას მის ქმედებაზე. ბრიტანელს ჯერჯერობით უმართლებს, ავარია არ შემთხვევია, მაგრამ მისი მანევრები მიხაელ შუმახერის სტილს მაგონებს, მას კი რეგულარულად აკრიტიკებდნენ დაძვრისას ტრაექტორიის რამდენჯერმე შეცვლის გამო.“

ბუნებრივია, ინგლისელი პილოტის პასუხმა არ დააყოვნა: „ჟაკს შეუძლია, საკუთარი შეხედულება ჰქონდეს და მე მის აზრს პატივს ვცემ, მაგრამ ფორმულა 1 — ეს რბოლაა, ბრძოლაა. თუ თქვენი მანევრით ტრაექტორიას კვეთთ და ამით მეტოქეების უსაფრთხოებას ემუქრებით, ეს მართლაც საშიშია, თუმც აქამდე არავის უჩივლია, ხოლო შავი დროშით დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილებას ფედერაციის წარმომადგენლები იღებენ და ამდენად, არც მათ აქვთ არანაირი პრეტენზია.“

ჰემილტონი „სამეფო რბოლების“ უნიკალური შენაძენია. ფორმულა 1-ის თითქმის 60-წლიან ისტორიაში პირველმა შავკანიანმა მძღოლმა ფენომენალური რეკორდი დაამყარა — ხუთივე საწყის რბოლაში პოდიუმზე შედგა და გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერობაც კი მოასწრო.

თავად ეს ფაქტი — მიყოლებით ხუთი პოდიუმი — ცხადია, იშვიათობა არაა, მაგრამ ახალბედას კვალობაზე წარმოუდგენელი მაჩვენებელია და იქნებ აღარც კი გამეორდეს.

რეკორდი მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერისაა, როცა 2001-02 წლებში ზედიზედ 19 რბოლის შემდეგ იდგა კვარცხლბეკზე, აქედან 12-ჯერ — უმაღლეს საფეხურზე. აღსანიშნავია ორგზის გვირგვინოსან ალბერტო ასკარის დღემდე დაუმხობელი აბსოლუტური მიღწევაც, მილანელმა 1952-53 წლებში ზედიზედ 9 დიდი პრიზი მოიგო.

**გია ახალაძე**

Formula 1

მეექვსე ეტაპი — კანადის დიდი პრიზი

### ჟილ ვილნევი

მონრეალი, 10 ივნისი



ტრასის სიგრძე — 4.361 კმ
რბოლის დისტანცია — 70 წრე — 305.270 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 21 საათზე

**შარშან:** 1 ალონსო (რენო); 2 მ.შუმახერი (ფერარი); 3 რაიკონენი (მაკლარენი); 4 ფიზიკელა (რენო); 5 მასა (ფერარი); 6 ტრული (ტოიოტა); 7 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი); 8 კულჰარდი (რედ ბული)

**წრის რეკორდი:** 2004 — ბარიკელო (ფერარი) 1:13.622 (213,2კმ/სთ)

### პოდიუმი ზედიზედ

| | მრბოლი | ქვეყანა | გუნდი | პოდ. | მოგ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 19 | 12 |
| 2 | ფერნანდო ალონსო | ესპანეთი | რენო | 15 | 7 |
| 3-8 | ალბერტო ასკარი | იტალია | ფერარი | 9 | 9 |
| 3-8 | ჯიმ კლარკი | შოტლანდია | ლოტუსი | 9 | 7 |
| 3-8 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | ფერარი | 9 | 5 |
| 3-8 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | უილიამსი | 9 | 3 |
| 3-8 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 9 | 6 |
| 3-8 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 9 | 7 |
| 9-11 | კარლოს რუტმანი | არგენტინა | ფერარი/ლოტუსი | 8 | 2 |
| 9-11 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი | 8 | 6 |
| 9-11 | ხუან პაბლო მონტოია | კოლუმბია | უილიამსი | 8 | 2 |
| 12-21 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | ფერარი/მაზერატი | 7 | 5 |
| 12-21 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი | 7 | 3 |
| 12-21 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი | 7 | 4 |
| 12-21 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი | 7 | 3 |
| 12-21 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი | 7 | 3 |
| 12-21 | ნაიჯელ მენსელი | ინგლისი | უილიამსი | 7 | 5 |
| 12-21 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი | 7 | 6 |
| 12-21 | ჟაკ ვილნევი | კანადა | უილიამსი | 7 | 2 |
| 12-21 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 7 | 4 |
| 12-21 | რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | ფერარი | 7 | - |
| 29 | ლუის ჰემილტონი | ინგლისი | მაკლარენი | 5 | - |





# სერგეი გონჩარი: არის, მაგრამ აღარ არის

**გერმანული** ველოგუნდის „T-მობაილის“ თავკაცობამ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გუნდის უკრაინელი ვეტერანი, 36 წლის სერგეი გონჩარი, რომელმაც შარშანდელ „ტურ დე ფრანსზე“ ორივე ინდივიდუალური რბოლა მოიგო და სამი დღე ლიდერის ყვითელი მაისურათი იწონებდა თავს, წლევანდელ „ტურზე“ მონაწილეობას არ მიიღებს.

როგორც „T-მობაილის“ მენეჯერმა ბობ სტეპლტონმა გერმანულ საინფორმაციო სააგენტო SID-ს განუცხადა, გონჩარის დოპინგტესტები სრულ წესრიგშია, მაგრამ მას შემდეგ რაც გასული საუკუნის 90-იანი წლების „ტელეკომის“ („T-მობაილის“ ძველი სახელწოდება) რამდენიმე წევრმა აღიარა დოპინგის მიღების ფაქტი, შესაძლოა, გონჩარი, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ იცავდა გუნდის ღირსებას, მავანთა სამიზნედ იქცეს. თანაც, უკრაინელი სეზონის ბოლოს „T-მობაილიდან“ მიდის და გუნდის ხელმძღვანელობაც ზედმეტ რისკს ერიდება.

## ფრანგებმა რიისი წაშალეს

**ფრანგული** სუპერრბოლის „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მას შემდეგ, რაც ბიარნე რიისმა აღიარა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში დოპინგს ლებულობდა, ისინი აღარ თვლიან დანიელ მრბოლს „ტურის“ 1996 წლის ჩემპიონად.

„ტურ დე ფრანსის“ საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა ფილიპ სიუდრემ AP-თან საუბრისას ბრძანა: „ჩვენ ამოვიღეთ მისი სახელი „ტურის“ ჩემპიონთა ოფიციალური სიიდან“. თუმცა, სიუდრემ იქვე დაამატა, რომ ოფიციალურად რიისისთვის ჩემპიონის ტიტულის ჩამორთმევის უფლება მხოლოდ UCI-ს (ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი) აქვს. კავშირში კი თვლიან, რომ საამისოდ, დანიელ მრბოლს ჩემპიონობა რომ ჩამოართვან, საკმაოდ დიდი დრო გასული.

მიუხედავად იმისა, რიისისგან საჩემპიონო ჯილდოს დაბრუნებას მაინც ითხოვენ. ანუ, დანიელი ჩემპიონად დარჩება, მაგრამ ჯილდო აღარ ექნება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge